

W 310

ა. ბერძნების.

# სამეურნეო ცხოვრების განვითარება

თარგმანი

პ. დაფენის გენერალის.



გამოცემა „გუთისა“ № 12.

ფასი 20 კაპ.



თბილისი

ელექტრომბეჭდავი მ. ხელაძისა, სოლოლ., პასკევიჩ. ქ. № 3.  
1906



ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ର

ე. ბერძნებული

ფოთი  
1925.

# სამეცნიო ცხოვრების განვითარება.

თარგმანი

გ. დავითვაშვილის.

34353

გამოცემა „გუთისა“ № 12.



თაღისი

ელექტრომძღვდ. ე. ე. ხელაძისა, სოლ. პასკ. ქ., № 3.  
1906 წ.

## გამოხვევლთაგან.

ედვარდ ბერნშტეინი, რომლის წიგნაკსაც ჩვენ  
ეხლა ვძეჭდავთ, თეორეტიკოსია იმ ახალ მოძრაო-  
ბისა, რომელმაც ამ ბოლო ხანში თავი იჩინა მარქ-  
სისტულ ლიტერატურაში. ბერნშტეინი დაიბადა  
1850 წელს, მუშებში ძალიან აღრე დაიწყო მუ-  
შაობა და მალე სახელიც მოიხვეჭა. ბერნშტეინი  
ჩვენ იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც ის ორ-  
ტოდოქსალურ მარქსიზმის უარ-მყოფელია. ჩვენში,  
სადაც „მართლ-მორწმუნეობა“ უკიდურეს ფანატი-  
კოსობამდის მიღის, მარქსის მოკრიტიკე მარქსისტე-  
ბის შესახებ თითქმის არავინ არაფერი იცის. ჩვენე-  
ბური სოციალ-დემოკრატები, რასაკვირველია, თავს  
არ გაიცხელებენ და მკითხველ საზოგადოებას არ გა-  
აცნობენ იმ მწერლებს, რომლებიც თავისუფალ  
აზროვნებას არ უფრთხიან და ყველაფერს თავის  
დაუნდობელ კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებენ.

ბერნშტეინი უარპყოფს მარქსიზმის ფილოსო-  
ფიურსა და ზოგიერთ სოციოლოგიურ საფუძველს.  
უარპყოფს ისტორიულ მატერიალიზმსა და ლირე-  
ბულების მარქსისტულ თეორიას. მარქსიზმი ამბობს,

ყველა საწარმოვო იარაღის ექსპროპრიაცია წარმოების კონცენტრაციის საშუალებით მოხდებათ. ბერნუტეეინი ოარჲყოფს ამ აზრს და ამტკიცებს, რომ აუარებელი ფაქტები სრულიად სხვას გვიჩვენებსო. ბერნუტეეინის მთლიან მსოფლ-მხედველობას მკითხველი ამ წიგნაკიდან, რასაკვირველია, ვერ გამოიტანს. ამისათვის ყველა მისი თხზულებების გაცნობაა საჭირო. ამისდა მიუხედავად, ეს წიგნაკია არ არის ინტერესს მოკლებული.

ჩვენ, როგორც სრულიად სხვაგვარ იდეალებისა და რწმენათა მაღიარებელნი, თქმა არ უნდა, ბერნუტეეინს ბევრს საკითხებში ვერ დავეთანხმებით, ზოგიერთს შემთხვევაში, ჩვენი შეხედულებანი შეიძლება, დიამეტრალურად განსხვავდებოდეს კიდევ მის შეხედულებისაგან, მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ დავინახეთ, ქართველ მკითხველ საზოგადოებისთვის ისეთი მარქსისტებიც გაგვეცნო, რომლებიც აზროვნების ეროს წერტილზე გაყინვას არ აპირებენ და ავტორიტეტს ბრმად არ ემორჩილებიან.

ჩვენ შემდეგშიაც ვეცდებით ამისთანა წიგნაკების გამოცემას, თუ, რასაკვირველია, გარემოებამ ხელი არ შეგვიშალა.

## სამეურნეო ცხოვრების განვითარება.

ამხანაგებო!

მოხსენება, რომელიც დღეს უნდა წავიკითხო, არის შესავალი იმ ექვსი ლექციისა, რომლების წაკითხვასაც ვფიქრობ ბერლინში თქვენი კავშირის სახალხო შენობაში. ეს ლექციები შეადგენს ერთ მთელს შემდეგის სათაურით: „წარსული და მომავალი სახალხო მეურნეობისა“ აწერალია შემდეგ რიგზედ: ჯერ, დღევანდელი ჩვენი თემა—სამეურნეო ცხოვრების განვითარება; მეორე მოხსენებაა—საფუძველი ეკონომიური ცხოვრებისა; მესამე მოხსენებაში დღევანდელ კაპიტალისტურ მეურნეობის ბუნება იქნება აწერილი. მოხსენების მეოთხე თემა რამდენადმე განყენებული იქნება, მაგრამ აღწერის შესავსებად იგი აუცილებლად საჭიროა და ამიტომ ვეცდები, რაც შეიძლება ხალხისათვის გასაგები ენით დავწერო: ეს არის ღირებულობის სხვა-და-სხვა თეორიები და მათი მნიშვნელობა. მეხუთე თემა ზედმეტ ღირებულებასა და მის ისტორიას შეიცავს; მეექვსე—კლასობრივ ბრძოლის დღევანდელ საზოგადოებაში და ეკონომიური ცხოვრების ახალ ფორმების განვითარებას.

როდესაც მე, თანხმათ თქვენი მართველობის თხოვნისა, ჩემი მოხსენების საგნად ეს ექვსი თემა ავირჩიე, — მე მივაქციე ყურადღება იმას, რომ ექვსივე რამდენადმე განყენებული ხასიათისაა. მაგრამ, რადგანაც თქვენმა მართველობამ მოისურვა, რომ თქვენ კრებებზედ სამეცნიერო ლექციებიც წაეკით-

ხათ, ამიტომ მე სრული იმედი მაქვს, რომ ოქვენ  
მოწყალეთ მამექცევით, თუ რომ ის საგანი, რო-  
მელზედაც მე უნდა ვიღოპარაკო ვერ აღძრავს ოქვენ-  
ში ისეთ ცხოველ ინტერესს, როგორც რომელიმე  
მწავე საკითხი, როდესაც იგი ოქვენს პროფესიას  
შეეხება ან ყოველ დღიური ცხოვრების გაჭირვე-  
ბით არის გამოწვეული. ეხლა კი შევეხოთ თვით  
თემას, რომელსაც ჩვენ „ეკონომიური ცხოვრების  
განვითარება“ ვუწოდეთ. რასა ნიშნავს სიტყვა მე-  
ურნეობა? მე მგონია ყველა თქვენგანმა იცის, რომ  
ამ სიტყვას არ შეიძლება მიეცეს ისეთი ვიწრო გან-  
მარტება, როგორსაც ჩვეულებრივად აძლევენ ხოლ-  
მე: მეურნეობა—ეს არის ადგილი, სადაც შეიძლე  
ბა ადამიანმა მოიპოვოს საჭმელი და სასმელი; თქვენ  
მოგეხსენებათ რომ მეურნეობა უფრო მომეტებულს  
ნიშნავს.

პირველი პასუხი მაინც და მაინც ისე არ არის  
სიმართლეს მოკლებული, როგორც ეს შეიძლება  
ბევრს თქვვნებანს უცბად ეჩვენოს. მეურნეობა ნიშ-  
ნავს ყოველივე აქტს ადამიანის მოქმედებისას, რო-  
მელსაც მიზნად ააქვს თავის დროზედ, მწყობრად  
და მუდმივ უზრუნველ ჰყოს ადამიანი ნივთიერად.  
ამ განმარტებაში უმთავრესად სიყურადღებოა შემ-  
დეგი. პირველი,—თავის დროზედ უზრუნველყოფა,  
მეორე,—მწყობრი და შეუწყვეტელი მოქმედება  
ნივთიერების შესაძენად. ჩვენ ვიცით, რომ ცოც-  
ხალ ქმნილებათა შორის არიან ბევრი ცხოველები,  
რომლებიც ნივთიერებას შოულობენ სანოვაგის სა-  
ხით ან საშუალებას თავის სახლის დასაცველიდ.

ადამიანთა და პირუტყვთა შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ადამიანი ყველაფერს საჭიროს წინადვე ამზადებს, პირუტყვი კი თავის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას შეეცდება ხოლმე მხოლოდ მაშინ, როდესაც გაჭირვება დაადგება. თითო-ოროლა შემთხვევა გვიჩვენიბს, რომ არიან ისეთი ჯიშის პირუტყვებიც, რომლებიც საკვებავის დამზადებისთვის წინადვე ზრუნავენ, სახელდობრი ის პირუტყვები, რომლებსაც მართლა თავისებური მეურნეობა ააქვთ. საერთოდ კი უნდა შევნიშნოთ, რომ ცხოველები წინდახედულებასა და მწყობრად სანოვაგის შეძენის უნარს მოკლებულნი არიან. უნდა შევნიშნოთ, რომ ადამიანის ცხოვრებაშიაც ამ მწყობრად შეძენის უნარს ყოველთვის არ ვხედავთ. მაგალითად, ველური ადამიანი უფრო ცოტას ზრუნავს თავის თავზე, ვიდრე ზოგიერთა პირუტყვი. ბევრი ველური ხალხი იმდენად შეუჩვეველია მეურნეობრივ წინდახედულობას, რომ, როდესაც იგი ახლად იწყებს მოქალაქეობრივ ცხოვრებას და ითვისებს ამგვარ წინდახედულობას, სრულიად ჰყარგავს სიმხიარულეს, რომელიც წინათ მისი უზრუნველობის შედეგი იყო. ველური ადამიანი, მიუხედავათ იმისა, რომ იგი დიდ აუტანელ ტანჯაშია, ყოველთვის მხიარული და კმაყოლია. ის სჭამს მთელი დღე გულის-არევამდის, ვიდრე ძალზედ გამაძლარს იქვე არ მიეძინება. ის ერთბაშათ სპობს ყველა

ხათ, ამიტომ მე სრული იმედი მაქვს, რომ თქვენ მოწყალეთ მამექცევით, თუ რომ ის საგანი, რომელზედაც მე უნდა ვილაპარაკო ვერ აღძრავს თქვენში ისეთ ცხოველ ინტერესს, როგორც რომელიმე მწავე საკითხი, როდესაც იგი თქვენს პროფესიას შეეხება ან ყოველ დღიური ცხოვრების გაჭირვებით არის გამოწვეული. ეხლა კი შევეხოთ თვით თემას, რომელსაც ჩვენ „ეკონომიური ცხოვრების განვითარება“ ვუწოდეთ. რასა ნიშნავს სიტყვა მეურნეობა? მე მგონია ყველა თქვენგანმა იცის, რომ ამ სიტყვას არ შეიძლება მიეცეს ისეთი ვიწრო განმარტება, როგორსაც ჩვეულებრივად აძლევენ ხოლმე: მეურნეობა—ეს არის ადგილი, სადაც შეიძლება ადამიანმა მოიპოვოს საჭმელი და სასმელი; თქვენ მოგეხსენებათ რომ მეურნეობა უფრო მომეტებულს ნიშნავს.

პირველი პასუხი მაინც და მაინც ისე არ არის სიმართლეს მოკლებული, როგორც ეს შეიძლება ბევრს თქვენგანს უცბად ეჩვენოს. მეურნეობა ნიშნავს ყოველივე აქტს ადამიანის მოქმედებისას, რომელსაც მიზნად ააქვს თავის დროზედ, მწყობრად და მუდმივ უზრუნველ ჰყოს ადამიანი ნივთიერად. ამ განმარტებაში უმთავრესად სეურადღებოა შემდეგი. პირველი,—თავის დროზედ უზრუნველყოფა, მეორე,—მწყობრი და შეუწყვეტელი მოქმედება ნივთიერების შესაძენად. ჩვენ ვიცით, რომ ცოცხალ ქმნილებათა შორის არიან ბევრი ცხოველები, რომლებიც ნივთიერებას შოულობენ სანოვაგის სახით ან საშუალებას თავის სახლის დასაცველად.

ადამიანთა და პირუტყვთა შორის მხოლოდ  
ის განსხვავებაა, რომ ადამიანი ყველაფერს საჭი-  
როს წინადვე ამზადებს, პირუტყვი კი თავის მოთ-  
ხოვნილების დაკმაყოფილებას შეეცდება ხოლმე  
მხოლოდ მაშინ, როდესაც გაჭირვება დაადგება.  
თითო-ოროლა შემთხვევა გვიჩვენებს, რომ არიან  
ისეთი ჯიშის პირუტყვებიც, რომლებიც საკვებავის  
დამზადებისთვის წინადვე ზრუნავენ, სახელდობრი ის  
პირუტყვები, რომლებსაც მართლა თავისებური მე-  
ურნეობა ააქვთ. საერთოდ კი უნდა შევნიშნოთ,  
რომ ცხოველები წინდახედულებასა და მწყობრად  
სანოვაგის შეძენის უნარს მოკლებულნი არიან. უნ-  
და შევნიშნოთ, რომ ადამიანის ცხოვრებაშიაც ამ  
მწყობრად შეძენის უნარს ყოველთვის არ ვხედავთ.  
მაგალითად, ველური ადამიანი უფრო ცოტას ზრუ-  
ნავს თავის თავზე, ვიდრე ზოგიერთა პირუტყვი.  
ბევრი ველური ხალხი იმდენად შეუჩვეველია მე-  
ურნეობრივ წინდახედულობას, რომ, როდესაც იგი  
ახლად იწყებს მოქალაქეობრივ ცხოვრებას და ით-  
ვისებს ამგვარ წინდახედულობას, სრულიად ჰკარ-  
გავს სიმხიარულეს, რომელიც წინათ მისი უზრუნ-  
ველობის შედეგი იყო. ველური ადამიანი, მიუხე-  
დავათ იმისა, რომ იგი დიდ აუტანელ ტანჯაშია,  
ყოველთვის მხიარული და კმაყოლია. ის სჭამს მთე-  
ლი დღე გულის-არევამდის, ვიდრე ძალზედ გამაძ-  
ლოს იქვე არ მიეძინება. ის ერთბაშათ სპობს ყვე-

ლაფერს რაც კი აბადია, შემდეგ კი მთელი დღეობით მშიერ-მწყურვალი დაეთრევა იმ დრომდის, სანამ ისეთ რასმეს არ წააწყდება, რაც მას სიმშილს მოუკლავს. ამიტომ მოქალაქობრივობით მაღლა მდგომ ადამიანს ველური კაცი ბუნებით საშინელ ზარმაცად მიაჩნია, რადგანაც მას მხოლოდ უმწვერვალესი გაჭირვება აამოქმედებს ხოლმე. ყოვლად შესაძლოა, რომ ველური ადამიანი შედარებით მოქალაქეობრივობით მაღლა მდგომთან უფრო მეტს ზრუნავდეს თავის საჭმელ-სასმელზედ, მაგრამ მისი შრომა, მისი მუშაობა სრულიად მოკლებულია ყოველგვარ წესიერებასა და სისტემას, რის გამოც მას არ შეიძლება მეურნეობა უწოდოთ. მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი რაიმე საზოგადოებრივ ფორმას მოაწყობს, იგი იწყებს მეურნეობას, ნივთიერების მწყობრად შეძენას. მაგრამ საიდან შოულობს ადამიანი მასალას? ბუნებიდან, რომელიც მას გარს არტყია,—მიწიდან მცენარეულობით და ცხოველებიდან.

ამის გარდა, ბუნება და მისი ძალები აძლევდა ადამიანს ნედლი მასალის შემუშავების საშუალებას, ამიტომაც არის, რომ კ. მარქსი მეურნეობას ხსნიდა, როგორც ადამიანის ბუნებასთან დაოკიდებულებას.

I

ეპონომიური ფორმების განსაზღვრა.

რანაირია ყველაზედ უფრო უბრალო ფორმა მეურნეობისა? იგი გამოიხატება იმ ნივთიერების წინასწარ დამზადებაში, რომელსაც თვით ბუნება გვაწვდის. ამგვარ მოქმედებას უკვე შეიძლება ეწოდოს შრომა, მაშინ როდესაც პირუტყვებზედ ნადირობა და ხილეულობის შეკორეცვა, რომელთა მიზანიც წუთიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა, არ შეიძლება შრომად ჩაითვალოს. მაშასადამე მეურნეობას ჩასახვის უმაღვე თან ჰყვება შრომაც, რომელიც ამ მეურნეობის ფარგალში პროგრესიულად ვითარდება.

დღეს ამ საკითხზედ არ შევჩერდები. ამას მე შემდეგ ლექციაში დაუბრუნდები. დღეს ჩვენ მეურნეობის ფორმები განვიხილეთ და, ვიდრე ლრმად ჩაუკვირდებოდეთ მის ბუნებას, საერთოდ მთელს ეკონომიურ შეხობას გადავხედოთ.

რა არის მეურნეობის მიზანი? მეურნეობა ეწოდება წინდახედულ მოქმედებას, რომელიც საკვებსაგნების, როგორც ადამიანთა მოთხოვნილების პირდაპირ დამაკმაყოფილებელის მომზადებაში გამოიხატება; სახლის საჭირო მასალის დამზადებაში, რის საშუალებითაც კაცი უამინდობისა და მხეცებისაგან თავს იფარავს; ტანთსაცმლის და იარაღის შეძენაში

თავის თავის დასაცავად; საწარმოვო იარაღის შოვნები; ნივთეულობის ან კომფორტის კუთვნილების მოგვარებაში, ან მორთულობის შენახვაში და შემუშავებაში, რასაც ადამიანის განვითარების უმაღლეს საფეხურზე ხელოვნება ეწოდება.

ზემოდ ჩამოთვლილი ფორმები შრომისა ეს ადამიანთა მთელ ეკონომიურ მოქმედებას შეადგენს.

ნათქვამიდგან ცხადზე უცხადესი ხდება, რომ ეკონომიური მოქმედებას სხვა და სხვა მიზანი აქვს; ასე რომ მათ ცალ-ცალკე გადათვლას საჭიროდ აღარ ვრაუხ. ამიტომ ჩვენ შეგვიძლიან გადავიდეთ პირდა-პირ მეორე საკითხზედ, სახელდობრ, მეურნეობის ზომაზედ.

მეურნეობა შეიძლება იყვეს დიდი და პატარა, იმის მიხედვით, თუ მუშათა რაოდენი რიცხვი იღებს მონაწილეობას ამ მეურნეობაში.

განვითარების ერთ-ერთ საფეხურზედ ადამიანთა მეურნეობა ხდება საეროდ, ე. ი. მთელი ერის მეურნეობათ, რომელიც სწარმოებს მთელის ერის გასაზოგადოებული ძალების საშუალებით, ან არა და შეერთებული მეურნეობის უმეტესობა სხვა და სხვა კერძო მეურნეობებისაგან შესდგება.

საერო მეურნეობის მონაწილედ ითვლება მთელი ერი, ე. ი, უმეტესი ნაწილი ხალხისა, რომელიც არის შეერთებული მარტო ჩამორავლობით კი არა, არამედ საერთო ისტორიით, საერთო მე-

ურნეობით, ამა თუ იმ უმთავრესი ინტერესებით და  
საერთო შეხედულობებით; ამიტომ საერთო მეურ-  
ნეობა შესაძლებელია მაშინ, როდესაც კაცობრიობა  
საკმაოდ არის განვითარებული. რაც უნდა გამო-  
ურკვეველი იყვეს ჩვენი ცნობები პირველ ყოფილ  
ცხოვრების შესახებ დედამიწაზედ, ველური ხალხე-  
ბის ცხოვრების შესწავლა ჩვენ მაინც ნებას გვაძლევს  
სრულის რწმენით ვთქვათ, რომ განვითარების  
პირველ საფეხურზე ხალხი ერთი ერთმანეთისაგან  
სრულიად განცალკევებული ჯგუფებად სცხოვრობ-  
და, ასე რომ ერზედ და ეროვნულ მეურნეობაზედ  
მაშინ ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. სუკოველ-  
თვის ეკონომიური მეცნიერების, თეორეტიკოსები  
მას შემდგომ, რაც ეს მეცნიერება აღმოცენდა,  
სცდილობდნენ მეურნეობის განვითარების საფეხუ-  
რები გამორკვეულ ნიშნების და გვარად გაენაშილე-  
ბინათ და გაეწესრიგებინათ. ასე, მაგალითად, ხალხ-  
თა ეკონომიურ ცხოვრებას ჰყოფდნენ ნატურალურ  
პერიოდათ, ფულისა და კრედიტულ მეურნეობათ.  
გამოჩენილმა გერმანელმა ეკონომისტმა ფრიდრიხ  
ლისტმა სხვა გვარი განაშილება შეიტანა: იგი მე-  
ურნეობას ჰყოფს ხუთ ნაწილად; პირველ საფეხუ-  
რად ფ. ლისტი ნადირობასა და თევზის ჭერასა  
სთვლის.

ჯერ, ამბობს ავტორი, ხილეულობის გარდა,  
რომელსაც მზა-მზარეულად მიწა აწვდიდა, ადა-

მიანი თავის სარჩენ საგნად ნანაღირევს და ოევზე-  
ულობას ხმარობს. მეორე საფეხურს, მისი განაწი-  
ლებით, შეაღგენს საქონლის მოშენება; ამ ღრმას  
კაცი მწყემსად ხდება და ამ საშუალებით იკვებავს  
თავს. ეს, რასაკვირველია, უფრო მაღალი ფორმაა  
შეურნეობისა, ვიდრე ის, როდესაც ადამიანს მხო-  
ლოდ ნანაღირევის იმედი ჰქონდა ხოლმე. ამ მეორე  
ფორმასთანაა შეკავშირებული ეკონომიური წინ-  
დახედულობა, რომელიც მას საშუალებას აძლევს  
ყველაფერი წინდაწინ დამზადოს.

მესამე საფეხურზე კაცი მიწის შემუშავებას  
ეჩვევა. ადამიანი იმითი ალარ კმაყოფილდება, რა-  
საც მას მიწა აწვდის. იგა მიწის შემუშავებას იწ-  
ყებს, მიწად მომქმედი ხდება.

მეოთხე საფეხური იწყება მაშინ, როდესაც  
ადამიანი მიწად-მოქმედობასთან ერთად მრეწველო-  
ბას იწყებს, ე. ი. იმას, რასაც ჩვენებურად ხელოს-  
ნობას. ეძახიან, სახელდობრ: იარაღის მოშზადება,  
სხვა-და-სხვა საწარმოვო იარაღების დამზადება, ტანთ-  
საცმელის შეკერა და სხვა. ამის შემდეგ (რასაკვირვე-  
ლია არც ერთი ფორმა მეურნეობისა უკვალოთ  
არა ჰქრება) იწყება მეხუთე საფეხური; ამ შემთხვე-  
ვაში ყველა ხსენებულ ეკონომიურ ფორმებს კიდევ  
ვაჭრობა უერთდება; ხელობა და ვაჭრობა შემდეგ-  
ში დიდათ ვითარდება.

ასეთია ლისტის სისტემის ხუთი საფეხური.

ზემოდ-ხსენებული დანაწილება, როგორც ვნახეთ, ეკონომიურ ფორმებს ეკონომიურ ძირითად მოქმედების დარგთა მიხედვითა ჰყოფს. მეორე გამოჩენილი ეკონომისტი, ლეიფციგის პროფესორი, ბიუსერი, მეურნეობის ფორმებს უფრო საფუძვლიანად არკვევს. ნიშნები, რომლებზედაც მეცნიერი ამყარებს თავის განაწილებას, მთელ ისტორიულ ეპოქებს აღნიშნავენ: პირველი, კარ-ჩაკეტილი, შინაური მეურნეობა, ე. ი. ისეთუ მეურნეობა, რომელიც ერთი ოჯახისაგან შესდგება. ამასთანავე თვითვეული ერთეული მეურნეობისა უძლვება თავის ოჯახობას და არავითარი დამოკიდებულება—გაცლა-გამოცვლა—სზვა ოჯახთან არ ააქვს. თვითონეული პატარა მეურნეობა ამზადებს ყველაფერს, რაც კი მის წევრთათვის არის საჭირო. ეს კარ-ჩაკეტილი ეკონომიური ერთეულები უმრავლესობას შეადგენდნენ და კაცობრიობის განვითარების უდიდეს პერიოდის განმამავლობაში ძალიან დიდს როლს თამაშობდნენ.

მეორე—სამოქალაქო მეურნეობა, ე. ი. ისეთი მეურნეობა, საღაც კარ ჩაკეტილ მეურნეობის ერთგულისათვის კი არ შრომობდნენ არამედ სხვისთვისც, განსაკუთრებით კიიმათთვის ვრც საქანელს წინაღვევა შეუკვეთავდა ხოლმე; ერთი სიტყვით, ისეთი მეურნეობა, რომელსაც მიზნად შეკვეთილობის ასრულება ჰქონდა. ამ კითხვას შემდეგში კი-

დევ დაუბრუნდები და ისტორიულ მაგალითსაც  
მოვიყვან; ამგვარი მეურნეობა საყოველთაო გახდა.  
მესამე, ეროვნული მეურნეობა, როდესაც სიმღიდ-  
რე გასასყიდად მზადდება რომელიც დღეს ყველა  
კულტურულ ქვეყნებში არის გამეფებული.

ამნაირად, ჩვენ ვიცით ორგვარი სხვა და სხვა-  
ნაირი განაწილება მეურნეობისა ამა თუ იმ ნიშნე-  
ბის დაგვარად. ეხლა მე ვეცდები ავიხსნათ, რამდე-  
ნადაც კი ეს შესაძლებელი იქნება, თუ რანაირად  
ვითარდება ისტორიაში ეკონომიკური დამოკიდულე-  
ბა. საჭიროა მხოლოდ მივიღოთ მხედველობაში  
შემდეგი. რა გვარის მეურნეობაც უნდა დაუდოთ  
საფუძვლად ჩვენს გამოკვლევას, ყოველ შემთხვევა-  
ში ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არც ერთი  
ფორმათაგანი მეურნეობისა არ ყოფილა წმინდა  
სახისა. ყოველთვის ყოფილა გარდამავალი ფორმე-  
ბი და ისეთი შემთხვევებიც რომლებიც საზოგადო  
კანონებს არ ემორჩილებიან კაცობრიება თავის  
ვრცელ ისტორიის მსვლელობაში ხშირად ნელის  
თანდათანობით ვითარდებოდი და ძნელათ შეხვდე-  
ბოდით რომ რომელიმე ეკონომიკური ფორმა სრუ-  
ლის სიწმინდით გამოხატულიყო. მეცნიერების წარ-  
მომადგენელი ისტორიის ეპოქეებად დაყოფის დროს  
სუყოველთვის იმ მეტოდით ხელმძღვანელობდნენ,  
რომ ეპოქის მაჩვენებელ ნიშნად სახავდნენ სახელ-  
დობრ იმას. რაც მომეტებული იყო, რაც საერთო

კანონად ითვლებოდა. მეურნეობის განვითარების შესწავლის დროს. ჩვენც ასეთივე მეტოდოთ უნდა ვიხელმძღვანელოთ.

## II

პირველ ყოფილ ხალხების მეურნეობა. პირველ ყოფილი კომმუნიზმი.

შევეხებით რა კაცობრიების მეურნეობის პირველ ფორმას, ჯერ პირველად ყოვლისა საჭიროა უარვყოთ გულუპრყვილო ფანტაზიები. ჩვენ არაფერი არ ვიცით პირველ ყოფილ კაცობრიების ისტორიის შესახებ, არა ვიცით რა აგრეთვე გარდამავალ საფეხურზედ უმაღლეს ცხოვრებიდან აღამიანებისკენ. იმ ხალხთა შესახებაც კი, რომელნიც, როგორც ვიცით განვითარების ძლიერ დაბალ საფეხურზედ სდგანან არ ვიცით, გვაქვს თუ არა ჩვენ უფლება, რომ იგინი პირველ ყოფილი ხალხად ჩავთვალოდ. ჩვენ უფრო ის დასკვნა უნდა გამოვიყანოთ, რომ ის ჩამორჩენილი ველური ხალხები, რომლებიც ეხლა კიდევ ცხოვრებენ ან ახლდ წარსულში უცხოვრიათ ჩამორჩენილ და თითქმის რომ გარდაგვარებულ ხალხად უნდა ჩაითვალოს. მაინც, ის ცნობები, რომლებიც ჩვენ ხელთ გვაქვს მათ შესახებ, საშუალებას გვაძლევენ, გავითვალისწინოთ

კაცობრიების ცხოვრების განვითარება მას შემდეგ, რაც იგი ცხოველებიდან განცალკევდა.

პირველად განცალკევება ხალხისა ცხოველებიდან, უქველია, მოხდა მას შემდეგ, რაც დიდრონი ჯგუფების ერთად ცხოვრება განვითარდა. პირველი აღამიანები, უქველია, ბანაკებად იკრიბებოდნენ ისე როგორც ცხოველები ფარად; ამ ბანაკებად შეგროვას შემთხვევითი ხასიათი კი არ ჰქონდა, არა მეო იარ ნათესავობის მიხედვით სწარმოებდა. სხვა-თა-შორის, ეს გარემოება იმითიც მტკიცდება, რომ ყველა კნობილი თემები, რომელნიც ნაკლებად არიან განვითარებულნი, საშინლად უფრთხიან ყველა იმას, რაც მათ ცხოვრებაში გარედან შეიჭრება ხოლმე.

შემდეგ. ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ შთამო-მავლობითი ნათესაობა პირველყოფილ თემებში მო-მდინარეობდა დედის მიხედვით და არა მამისა. დე-დითი შთამომავლობა მაშინ ეჭვს გარეშე იყო, მა-მითი შთამომავლობა კი ძალიან ძნელი გასაგები იყო. ცოლქმრობის უღლის უმანკოდ დაცვას მაშინ დიდი ფასი არ ჰქონდა. და თუ პირველყოფილ კარბრიობის ბანაკს იმას დავამსგავსებთ, რასაც ჩვენ ნათესაობას უწოდებთ, მე მგონია, ამით ჰეშმა-რიტებას მიუახლოვდებით.

მაგრამ ამაზედ ლაპარაკი საკმარისია. არის ერთი ნიშანი, რომელიც პირველყოფილს აღამიანს

თავის მეურნეობით უფრო გარკვევით ანსხვავებს პირუტყვებისაგან, ვიდრე ადამიანის შრომა, რაღაც ბევრი ცხოველებიც შრომობენ თავისებურად, მაგალითად, აშენებენ ბუდეებს, რომლებიც ხშირად ძალიან ხელოვნურადაც არის ხოლმე გაკეთებული. ეს ნიშანია—ცეცხლის მოხმარება, ამას ჩვენ ყველა ხალხებში ვხედავთ, თვით ველურ ხალხშიც კი, მაშინ როდესაც პირუტყვები ცეცხლს არასდროს არა ხმარობენ. პირველი შეხედვით ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ნიშანი ასეთ მნიშვნელოვანი იყვეს. მაგრამ თუ თქვენ უბრალო ეკონომიურ პირველ ყოფილ ფორმას დაუკვირდებით და შეისწავლით, მაშინ რამდენადმე დარწმუნდებით და წარმოიდგენთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და რა დიდი ცვლილება შეიტანა ცხოვრებაში იმ მომენტმა, როდესაც ადამიანმა ცეცხლის გაჩენა და მისი შენახვა შეისწავლა. ამ გარემოებამ ადამიანი ბუნების ბრმა მონაბიდგან განათავისუფლა. ცეცხლმა ადამიანს საჭმლის მომზადების საშუალებაც მისცა: იმის მაგივრად, რომ ძველებურად მოუხარშავი ეყლაპნა, ეხლა ხარშვას იწყებს. შემდეგში ხომ ცეცხლმა დიდი დახმარება გაუწია ადამიანს იარალის მომზადებაში, უკანასკნელი კი ნამდვილ მეურნეობის მოსაწყობად აუცილებლად საჭირო იყო.

რა ნაირი იყო მეურნეობა პირველყოფილი ადამიანისა? ამ საკითხის შესახებ მეცნიერები სულ სხვა და სხვა შეხედულებისა არიან. ძველად იმ აზრისა-

ნი იყვნენ, რომ პირველად ადამიანები სამოთხეში სცხოვრობდნენ, სადაც ისინი პპოვებდნენ ყველა-ფერს, რაც კი მოესურვებოდათ, მაგრამ შე-ცოდების შემდეგ სამოთხიდან განდევნილ იქმნენო. ის წარმოდგენა, ვითომ პირველად დედამიწაზედ ყველაფერი განცხრომაში იყო, და რომ ბოროტება გაჩნდა შემდეგ ადამიანის შეცოდებისა,—ეს წარმოდგენა დღევანდლამდის გამეფებული იყო თვით იმ ხალხშიც კი, რომელიც ბიბლიის პირველ დროის ისტორიას უბრალო ზღაპრადა სთვლიდა. მხოლოდ თან და თანობით გამოკვლევამ დაგვარწმუნა, რომ სამოთხის ძებნა წარსულში შემცდარი აზრია. ამ-გვარი სამოთხე ქვეყანაზედ არასდროს არ ყოფილია. ადამიანი პირველად ნებიერი სრულიადაც არ იყო: უამინდობა მას ავნებდა, მხეცებისა ეშინოდა, ყო-ველნაირი ავალმყოფობა მას ატყდა თავს; ერთი სი-ტყვით, იგი არ იყო ისეთი ქმნილება, როგორიც არის ყოველ მხრივ, ქეშმარიტად ბედნიერი და სა-მოთხეში მცხოვრები ადამიანი. ადამიანი უზრუნვე-ლი იყო, მაგრამ ეს მედიდური უზრუნველობა, როგორც ველური ხალხისა, ისე პირუტყვებისა, მათი აზროვნების სიზარმაცისა და გონებრივი სიჩ-ლუნგის შედეგი არის. რომ ადამიანში უფრო მა-ლალმა მოთხოვნილებებმა გაიღვიძოს, აუცილებლად საჭიროა სულიერი მდგომარეობა ველური ადამია-ნისა გამდიდრებული იქმნას საჭირო ცოდნით, რო-მელიც იქმნება შექმნილი გარემოცული პირო-ბეების გავლენით.

მაშასადამე, ის შეხედულება, რომელსაც ჩვენ-  
ში დღეს ბევრი მომხრე ჰყავს, ვითომც პირველ  
საფეხურზედ კაცობრიობის განვითარების პირველ  
საფეხურზე კომმუნიზმი იყო გამეფებული, სიმართ-  
ლეს მოკლებულია. ეს აზრი ბევრს ცრუ წარმოდ-  
გენას უბადავს ადამიანს. რასაკვირველია, მეურ-  
ნეობის პირველ საფეხურზედ ყველასოვის საერთო  
ბევრი რამ იყო. მაგალითად, მიწა ეკუთვნოდა  
მხოლოდ ბანაკს, საგვარეულოს ან ტომს, მაგ-  
რამ რად იყო ეს ესე? იმიტომ, რამ მიწას თვი-  
თეული პიროვნებისთვის არავითარი რეალური ღი-  
რებულება არა ჰქონდა. ნადირობით ერთად ნადი-  
რობდნენ და მიწა კი სხვაფრივ არავისთვის არ იყო  
გამოსადევი. იმიტომაც იყო საერთო საკუთრებას  
შეადგენდა. შეძლევ, სადაც კი ველურ ხალხს შევხვ-  
დებით, ჩვენ ყველგან ვხედავთ, რომ ყველა ის, რა-  
საც ადამიანები აფასებენ, სახელდობრ, რაც პირად  
მოსახმარის საგანს შეადგენს, ან პირად შრომის  
შედევია, ყველა იმას იგინი კერძო საკუთრებად  
სთვლიან და ხშირად უფრო დიდ მნიშვნელობასაც  
აძლევენ, ვიღრე ეხლა ჩვენ — კერძო საკუთრებას.  
ბევრი ველური ხალხთაგანი ადამიანის სიკვდილის  
შემდგომ სპობს ან მარხავს განსვენებულთან ერთად  
ყველა იმას, რაც მას ეკუთნოდა და ან მის პირა-  
დი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ საგანს  
შეადგენდა. იარაღი, აბჯარი, ბევრჯელ მთელი ქო-  
ნება განსვენებულისა მასთან ერთად იმარხებოდა.  
ყოველივე ეს ისე მჭიდროთ იყო შეკავშირებული

ადამიანთან, როგორც საკუთრება პიროვნებასთან; ასე რომ ბევრ ტომებს ჩვეულებათ პქუნდათ გარდაცვალებულის ქონების მოსპობა იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ეს მოსპობა დანარჩენ ცოცხლებს საშინელ გაჭირვებაში სტოვებდა.

ველური ხალხის მეურნეობა სრულიად მოუწყობელია. ასე მაგალითად, სმა-ჭამა იმ ველურებისათვისაც კი, რომლებმაც უფრო განვითარების მაღალ საფეხურს ჰიალწიეს, სრულიად უწესრიგოა. ველური ადამიანი საერთოდ ნაკლებ ყურადღებას აქცევს წესრიგს სმა-ჭამის დროს. კულტურის დაბალ საფეხურზედ ჩვენ ვერ ვხედავთ საერთო სადილებს, რომლებიც შეგნებულ თუ შეუგნებელ კომმუნიზმის ნამდვილი დამამტკიცებელი და დამახასიათებელი ნიშანია.

ყველა მათგანი სჭამს, რამდენიც ნებავს და შემდეგ მხართეძოზედ წვება. მხოლოდ შემდეგ კულტურული განვითარებისა სადილობენ ერთად და მაშინაც ყველა ოჯახის წევრი კი არ იღებს მონაწილეობას, არამედ კაცები ცალკე და ქალები ცალკე შეექცევიან და ეს მაშინ, როდესაც უკვე დღევანდელი ოჯახობის ელემენტები უკვე შესდგა, შეგროვდა. ამიტომ შემცდარია ის აზრი, ვითომც წინედ რამოდენადმე ღირსშესანიშნავი კომმუნიზმი ყოფილიყვეს. ნელ-ნელა ხალხი მთელი ტომბით ასე თუ ისე ხანგრძლივად ერთს ადგილას იწყებს ცხოვრებას, განსაკუთრებით კი იმ ადგილებში, სადაც ბუნება მდიდარი ან სანადიროდ ხერხიანი

იყო. იმ ადგილებში აშენებდნენ თავიანთ პირველ ყოფილ სახლებს და თავიანთ შორის შრომის განაწილებას იწყობდნენ. მაგალითად, ქალებს ხილეულობის შეგროვება და აგრეთვე მიწათმოქმედებაც ევალებოდათ. კაცი კი მომეტებულ წილად ნაღირობაშია გართული, ამასთანავე კაცი ამზადებს იარაღს, მაგრამ განსაზღვრულ რიცხვს. ჭურჭლეულობას მოსახარშავად ქალები ამზადებდნენ. ასეთია პირველ-ყოფილი მეურნეობის ფორმები. ეს დასკვნა ლოლიკურად მომდინარეობს იმ ფაქტებიდან, რომ ლებაც დღევანდელი მკვლევარნი გვაწვდიან.

რა კი ჩვენ უარვყოფთ იმ მოსაზრებას, ვითომც ადამიანი ყოველ მხრივ გაუმჯობესებულ ქმნილებად გაჩერილიყოს ქვეყანაზე, ამიტომ, ბუნებრივად ის დასკვნაც უნდა გამოვიყვანოთ, რომ ადამიანის და მისი გონების განვითარება გარემოცულ პირობებზედ იყო დამოკიდებული. ამ განვითარების ძირითად სხემას იმ ტომთა ცხოვრების მოწყობილება გვაგებინებს, რომლებიც ეხლაც ველურ მდგომარეობაში არიან.

ადამიანები ერთმანეთს უერთდებოდნენ, შესაძლებელიც არის რომ წყვილ-წყვილად ერთადაც სცხოვრობდნენ, ასე რომ სრულიად განუსაზღრული ცოლ-ქმარული დამოკიდობულება კი არ არსებობდა.

მაგრამ დიდად საეჭვოა, რომ ამ გვარი ცოლ-ქმრული კავშირი სიკვდილამდის ყოფილიყოს, ეს მით უფრო დაუჯერებელია, რომ განვითარების მა-

ლალ საფეხურშიაც ჩვენ გვხვდება ზემოდ აღნიშნული მოვლენა, სახელდობრ, შთამომავლობა დედის მხრით ითვლება; ასე რომ ბავშვი თავის მახლობელ დამცველად იმას კი არა სთვლის, ვინც მისი მამა იყო, არამედ დედის ძმას, რომელსაც ყველა იმ თვისებებს აწერს, რაც ჩვენებურად მამას ეკუთვნის. ეგრედ წოდებულ დედით შთამომავლობამ ბევრს ალაგას ქალს ისეთი უფლებები მიანიჭა, რომ მას როგორც ოჯახის წარმომაღგენელს უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მამაკაცს: უეპველია, დიდის ხნის განმავლობაში ხალხის საზოგადოებრივ დამოკიდებულებას მიმართულებას დედითი ნათე-საობა აძლევდა.

არსებობისათვის უზრუნველ ყოფას, რომელიც სრულიად ბუნების სიმდიდრესა, მის ნაყოფიერება-სა და ნადირობაზედ იყო დამყარებული, ორი შე-დეგი მოჰყავა: პირველი, ადამიანი მიეჩვია საქონ-ლის მოშენებას, რომ იგი ნადირობის შემთხვევე-ბისაგან არ ყოფილიყო დამოკიდებული და მეორე, მცენარეულობის მოსაყვანად მან მიწის შემუშავე-ბას მიჰყო ხელი.

ველური ხალხი თან და თან დარწმუნდა, რომ მიწაში დათესილი თესლი იზრდება და ისიც ამ თესლის გაზრდას შემთხვევას აღარ ანდობს, რასაც ჩვეულებრივად პირუტყვები სჩადიან ხოლმე. რო-გორც უკვე აღვნიშნე, მიწადმოქმედობა ქალებს ევა-ლებოდა მაშინ, როდესაც კაცებს მესაქონლეობა ეკისრებოდა. საქონელსაც კი, ასე გასინჯეთ, კაცი

სწველავდა. საქონლის ყოლი ისეთ პირველ საკუთრებას შეადგენს, რომელიც პიროვნებასთან არ არის შეკავშირებული. მოსართავი ნივთები და იარაღი კერძო პირთა საკუთრებას შეადგენდნენ, ამათ, პირველყოფილი ადამიანები მესაკუთრეებთან შესისხლ-ხორცებულად სთვლიდნენ. მას შემდეგ რაც ხალხმა საქონლის მოშენება დაიწყო, მის მოშენებაში მონაწილეობას იღებდა ყოველი წევრი ოჯახისა, ან ტომისა, ან ჯგუფის, იმის და მიხედვით თუ რომელი ხსენებული საზოგადოებათაგანი ეწეოდა მესაქონლეობას.

თან და თან საქონლის მოშენებას დიდი ფასი ედება, და რაღგანაც მისი მოვლა მამაკაცს ეკისრებოდა ამიტომ საქონლის მოშენებასთან ერთად აღორძინდა და შემდეგში უფრო განვითარდა ის, რასაც ჩვენ მამითი შთამომავლობის უფლებას ვუწოდებთ. ოჯახის წარმომადგენლად მამა ხდება და შთამომავლობითი უფლებაც მამაკაცზედ გადადის.

### III

მოძრაობის ტომების მეურნობა.— შინაური  
და სასოფლო თემები.

საქონლის მოშენება და მიწადმოქმედება მოწმობდნენ იმას, რომ ადამიანი ნამდვილ შრომას შეუდგა. იგივე იყო მწყობრი მოქმედების ხანის და-

დგომის მომასწავებელი. მაგრამ ამის გარდა მათ  
სხვა მნიშვნელობაც ჰქონდათ; სახელდობრ, ამის  
შემდეგ შრომა რეგულირულად გაცილებით მეტს  
იძლევა, ვიღრე წინათ იძლეოდა. თუმცა ნადირო-  
ბას, შემთხვევით, ხანდისხან რაოდენადმე ზედმეტი  
მოპერაცია ხოლმე ველური ხალხისთვის, მაგრამ ეს  
მხოლოდ ცოტახანს ჰყოფნიდათ, მეორე დღემდის  
ძალიან იშვიათად. ნანადირევი მსწრაფლად ისპობო-  
და. ასე რომ ადამიანი იმედს ვერ იქონიებდა, რომ  
იგი მეორე დღისთვისაც რამდენიმე კაცისთვის სა-  
ყოფი იქნებოდა. ამის იმედი ადამიანმა შეიძლება  
მიწად მოქმედებისა და პირუტყვთა მოშენების დროს  
იქონიოს. ამგვარად, იმ მომენტიდან, როდესაც  
ადამიანის განვითარება ამ საფეხურს აღწევს, შრო-  
მის რაოდენადმე ღირებულება ეძლევა. და აი, მა-  
შინ რა მოხდა: პირველად ხალხი ყველას, ვინც კი  
მათ ტომს გარეშე იდგა, მტერივით უცქეროდა,  
(მტერსა და უცხოს დიდი ხნის განმავლობაში თითქ-  
მის ყველა ხალხები ერთი სიტყვით ხატავდნენ). ვე-  
ლურ ადამიანთა შორის სანადირო ადგილების გა-  
მო განუწყვეტლივი ბრძოლა იყო გამართული. მტერს  
მოკვლის უმაღვე სჭამენ, რადგან უკანასკნელს ისე  
კი არ უცქერიან, როგორც თავის მსგავს ადამიანს,  
არამედ როგორც უცხო, მდაბალ ქმნილებას.

ველური ადამიანი ისევე სჭამს ადამიანს, რო-  
გორც სხვა ცხოველებს, რადგანაც მისთვის არავი-  
თარი ზეობრივი პრინციპები არ არსებობს. ველურ  
ადამიანში წარმოდგენა კაცობრიობაზე ისევე ნაკ-

ლებად შეიძლებოდა განვითარებულიყო, როგორც  
პატარა ბავშვში. მას შემდევ, როდესაც მეურნეო-  
ბა მყარდება შრომაზე, რომელსაც იმაზე მეტი მო-  
აქვს, რაც ადამიანის გამოსაკვებად არის საჭირო, —  
ამ შრომაში შეძლების და გვარად, გარეშე პირიც  
იღებს მონაწილეობას, მაგრამ არა როგორც თანა-  
სწორი წევრი. გარეშე პირს თანასწორად არა სთვლი-  
ან, უკანასკნელს ატყვევებენ და მონასავით ამუშა-  
ვებენ. ეს უცხო პირი თუმცა თავისუფლებას ჰყარ-  
გავს, მაგრამ, სამავიეროდ, სიცოცხლეს ინარჩუ-  
ნებს. ამგვარად, მონობა კაცობრიობის განვითარე-  
ბაში პროგრესს შეადგენს გარდამავალ საფე-  
ხურს კაცის ჭამიობიდან იმნაირ საზოგადოებრივ  
წესწყობილებაზე, როდესაც დამარცხებულთ გა-  
ნურჩევლათ არა ხოცავენ. მაშასადამე, პირველყო-  
ფილ მონობაზედ ჩვენ ძალიან საშიშარი შეხედუ-  
ლება არ უნდა ვიქონიოთ. იმ დროს მონისა და  
ბატონის ცხოვრებაში თითქმის არავითარი გარჩევა  
არ არსებობდა. მონა, როგორც თავისუფალი ვე-  
ლური, იმაზედ კარგ ცხოვრებას არ იყო მიჩვეული,  
ვიდრე იგი მონობაში ჰპოვებდა; და ძალდატანება  
ხომ ადამიანთა შორის უიმისოდაც არსებობდა მა-  
შინ არც მონის შრომა იყო მაინც და მაინც ძა-  
ლიან აუტანელი.

მეორე მხარე პროგრესისია შემდეგში მდგომა-  
რეობს, როგორც საქონლის მოშენებისათვის, ისე  
ნადირობისათვის დიდი ტერიტორია და ფართო სა-  
ძოვარი იყო საჭირო. მაგრამ საჭმე ის არის, რომ

ველურს არც ერთს შემოზღუდულ ადგილზე არ  
შეეძლო დიდი ხნის განმავლობაში თავისუფლად დარ-  
ჩენილიყო. შესაძლო იყო მხოლოდ ექსპლოატაცია  
მიწისა. ველური კაციც თავის განვითარების პირ-  
ველ საფეხურზედ ესეც იქცეოდა, რადგანაც იგი  
მიწის მწყობრად დამუშავებას სრულიად უჩვევი  
იყო. ამისგამო პირველყოფილი მეურნეობა, როგო-  
რიც არის, მაგალითად, ველური ხალხისა, რომე-  
ლიც ნანადირევითა და ხილეულობით იკვებავს  
თავს, ისევ მოძრავ მეურნეობის საფეხურზე სდგას.  
ასე რომ ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ: სადაც ხალხმა  
ახლად მოსახლეობა და საქონლის მოშენება იწყო,  
იქ იგი განუწყვეტლივ ერთი ალაგიდან მეორეზედ  
გადადის. პირველად ხალხი მოძრავ მეურნეობას  
ეწეოდა, ე. ი. დრო გამოშვებით ერთი ადგილიდან  
მეორეზედ გადასახლდებოდა ხოლმე; შემდეგ იგი  
განცალკევებულ საზოგადოებად—ბანაკებად—სცხოვ-  
რობს. თუ იშვიათ გამონაკლს არ მივიღებთ მხედ-  
ველობაში, ბანაკები ჩვეულებრივად დიდდება და იმ  
ზომამდის მიდის, რომ წინედ დაჭრილ ადგილ-მა-  
მული ყველა წევრს აღარა ჰყოფნის. იწყება გა-  
დასახლება. გადასახლება შთამომავლობის დაგვა-  
რად ხდება. ამ დროიდან ბანაკები ტომებათ ხდე-  
ბიან, უკანასკნელი კი თავის მხრივ თემებად განი-  
ყოფება. მეურნეობა შინაურ ხასიათს იღებს, ე. ი.  
ხდება იმისთანა მეურნეობად, რომელიც მხოლოდ  
ოჯახის წევრთა საჭიროების დაკმაყოფილებას უნ-  
დება. სახლობა, რომელიც მარტო ცოლქმარისა და

შვილებისგან კი არ შესდგება, არამედ თავის წევრთა რიცხვით, დღევანდელ ოჯახობასთან შედარებით, ძალიან დიდია, მეურნეობას მხოლოდ თავის-თვის ეწევა და შრომასაც მხოლოდ თავის წევრთა შორის ანაწილებს. რაც შეეხება მეურნეობისთვის საჭირო იარაღს, იმას ისეთს დროს ამზადებენ, როდესაც ოჯახის წევრები მიწადმოქმედებისა და საქონლის მოშენებისაგან თავისუფლები არიან. ამას-თანავე, იარაღს და ვეჯეულებას ამზადებენ თვით ოჯახში, რომელიც სამეურნეო ერთეულს წარმოადგენს. შემდეგ, მიწადმოქმედება უფრო ვითარდებოდა, ხალხმაც მუდმივი საცხოვრებელისა და სამუდამო სახლების აგება დაიწყო, ხალხი სოფლად სახლდება, მიუხედავად ამისა სოფლები მაინც ერთი ერთმანეთისაგან განცალკევებულ სამეურნეო ერთეულებს წარმოადგენდნენ; თვითეული ოჯახიც აგრეთვე განცალკევებულ სამეურნეო ერთეულს შეადგენდა; ასე რომ, ყველა სოფლის საზოგადოებანი თავის საჭიროებას საკუთარის ძალ-ლონით იქმაუთვილებდნენ.

საერთო ის მინდორი იყო, რომელზედაც საქონელი სძოვდა, და არა სახნავი მიწა. საქონელსაც საერთოდ აშენებდნენ, მაგრამ ჯერ არავითარი გაცვლა-გამოცვლა არ არსებობდა. განსაზღრული რიცხვი ადამიანთა განსაზღრულ თემისადმი მოვალეობას ასრულებდა; მაგრამ ფულები და რეგულიარული გაცვლა-გამოცვლა არ არსებობდა, იყო მხოლოდ მეურნეობა მოსახმარისი ნივთების დასამ-

ზაღებლად; ამ უკანასკნელს ნატურალური მეურნეობა ეწოდებოდა, რაღანაც მაშინ შრომის ფას-საც კი, ან გადასახადს და საერთოდ ყოველ გვარ ღირებულებას, რომელსაც ერთი რომელიმე სამეურნეო ერთეული აძლევდა მეორე სამეურნეო ერთეულს, ან რომელიმე კერწო პირს, იხდიდნენ ნივთარ-რად და არა ფულად.

ასე სცხოვრობდა კაცობრიობა დიდი ხნის გან-მამავლობაში: ჯერ იგი დაძრწოდა, გადადიოდა ერთი ალაგიდან მეორეზედ, შემდეგში კი თემობრივი ცხოვრება დაიწყო. კაცობრიობა ორის გზით ვითარ-დებოდა.

რაღანაც ომი აუცილებელი იყო და თანდა-თან დიდი მნიშვნელობაც ეძლეოდა, ამიტომ ბებ-რებმა ყურადღება მიაქციეს, რომ მათი წინამძღო-ლი ყოველთვის გაწრთვნილი ყოფილიყო. ამასთა-ნავე თემებში ხშირად უსიამოვნება და საჩივარი გამოერევოდათ ხოლმე, რომელთაც ხან საზოგადო საბჭო, ხან გავლენიანი პირები სწყვეტდნენ. ერთი სიტყვით, გამოჩნდნენ წინამძღოლები, რომ-ლებსაც ყოველივე გამარჯვების შემდეგ კარგად ასა-ჩუქრებდნენ ხოლმე. დაიბადა წოდებრივი და ქონე-ბრივი განსხვავება, უკანასკნელი კი შედეგი იყო იმ გარემოებისა, რომ დაიბადა საკუთრება, რომელ-საც უწინდებურად სიკვდილის შემდგომ საფლავში კი არ ატანდნენ, არამედ შთამომავლობაზედ გადა-დიოდა. თვითეულ ტომში ან ერში მდიდრები და ლარიბები გაჩნდნენ. ქონებრივი განსხვავება, თუმცა

ისე თვალსაჩინოდ არა, როგორც ეხლა, მაგრამ მაინც სუფევდა. ერთს მეტი საქონელი ჰყავდა, ვიდრე მეორეს; ფართო მეურნეობას ეწეოდა, ჰყავდა ბევრი მონები და სხვა. ასე რომ მეურნეობისაგან მას მეტად შეეძლო ესარგებლა და, მაშასადამე, ცოტა განცხომითაც ეცხოვრა. ერთი სიტყვით, დაიბადა უთანასწორობა ქონებრივი, უთანასწორობა მთელ საზოგადოებრივ მდგომარეობისა, საზოგადოთ მთელი ცხოვრებისა. ყველა ამასთან შეჰყვა მოთხოვნილებების ზრდაც. მაგრამ ბუნება თავის სიმდიდრეს ყველგან ერთნაირის სიუხვით არ იძლევა, ყველგან თანასწორი მოსავალი არ მოდის და არც ყველგან არის მიწაში განძი, რომელიც განსაზღვრულ, განვითარების საფეხურზე მდგომ ხალხისთვის არის საჭირო. ამიტომ იმ საგნებს, რომლებიც ადგილობრივ არ მოიპოვება, სხვაგან უწყებენ ძებნას. და აი, თავის საკუთარ საჭიროებათა დამაკმაყოფილებელ მეურნეობასთან ერთად, იწყება ვაჭრობითო, მასსიური გაცვლა-გამოცვლა ერთის საგნებისა მეორეზედ; ეს აღებ-მიცემობა კი ხშირად თემის საზღვრებს სცილდება. უწინ იმას, რაც ძალიან მოსწონდათ, მაგრამ ბუნება კი არ იძლეოდა, ძარცვითა შოულობდნენ. ველურ აღამიანს, რომელიც განვითარების ძლიერ დაბალ საფეხურზედ სდგას, აღებ-მიცემობაზედ, ღირებულობაზედ და ფასის საზომავზედ არავითარი წარმოდგენა არა აქვს. იგი, როგორც პატარა ბავშვი, ხშირად ობრალო სათამაშოში ძირფასს ნივთს იძლევოდა, მაგრამ ამა-

სთანავე ორივე ხელით ებლაუჭებოდა ხოლმე, სრულიად უბრალო რამეს და არასგზით თავს არ და-ანებებდა. ადამიანის მიერ რეგულიარულ აღებ-მი-ცემობის დაწყება მის ცხოვრების კულტურულ გზა-ზე ძალიან დიდი მნიშვნელოვანი პროგრესიული ნაბეჭი იყო.

#### IV.

### ჩალაშის აღმოცხვება და აღვა-მიცხვობითი მეურნეობა.

აღებ-მიცემობასთან ერთად თანდათან ნივთების სწორი დაფასების სურვილი ვითარდება. მასთანავე იბადება მოთხოვნილება რაიმე ერთი ისეთი საგნის გამოძებნისა, რომელიც მუღმივი საზომავი იქნება, და ყოველი სააღებ-მიცემო საგნისა. ჩვეულებისამებრ ასეთ საშუალებად აღებ-მიცემისა ხდება საგანი, რომელსაც ყველა ხშირად ხმარობდა ხოლმე.

ასე, ჩვენ ვხედავთ რომ ხალხი, რომელიც თუმცა სრულიად ველური არაა, მაგრამ მაინც პირველყოფილად ითვლება, სააღებ-მიმცემო საშუალებად ერთ გვარ ლოკოკინას ხმარობდა, — სხვანაირად რომ ვსთქვათ, ეს ლოკოკინები ფულების მაგიერობას ეწეოდნენ.

რამდენადმე მაღალ საფეხურიდან განვითარებისა ცივილიზაციამდის მომეტებულ შემთხვევაში

ფულის მაგიერობას პირუტყვი ეწევა. ყველა ის, რაც გასაცვლელია, იზომება პირუტყვთან შედარებით. ვალს პირუტყვით იხდიან, იგივე შეადგენს ფულს, ამასვე გვეუბნება ლათინურ ენაზედ ფულის სახელი. სიტყვა „ფული“—Pecunia შესდგა Pecus გან—პირუტყვისაგან, პირველ რომაელების ლითონის ფულებზედ ხომ პირუტყვი იყო გამოხატული. ამნაირად ჩაღდება რეგულიარული აღებ-მიცემობა, რომელსაც რომელიმე ცნობილი სააღებ-მიმცემობარალი უძევს საფუძვლად; ეს აღებ-მიმცემლობა ვითარდება და ვაჭრობად ხდება. ყველა საზოგადოებები (თემები) ერთნაირად არა ვითარდებოდნენ. ეს განვითარება ადგილ-საცხოვრებელზედ, მცხოვრებთა რიცხვზედ და მათ ნიჭიედ და აგრეთვე ბუნების სიმღიდრეზეა დამოკიდებული.

ჩნდება რომელიმე ადგილი, სადაც აღებ-მიცემობა რაიმე მიზეზის გამო ძალიან ვითარდება, სადაც უფრო მეტი ნივთები იცვლება ერთი მეორეზედ, სადაც მეტი შემთხვევაა ზედმეტის გაცვლისა და ყოველგვარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა. ამ გვარ ადგილებს ჩვენ ბაზარს ვუწოდებთ, ეს ბაზარი დროებით ან საბოლოოთ ხდება იმნაირ ადგილით, რომლის დანიშნულებაც აღებ-მიცემობა ხდება. განსაკუთრებული სიმაგრეები იცავენ ბაზრებს მტრის დაცემისაგან; ამასთანავე ბაზრების დაცვა ახლო-მახლო მცხოვრებთა და მათ შთამომავალთა უფლებას შეადგენს. ამგვარ სიმაგრეებს, შემოზღუდულ ადგილ ს ძევლად გერმანელები უწოდებდნენ

„ბურგს“ (რუსულად გრად) - ქალაქს, და ამიტომ ქალაქის მცხოვრებს მოქალაქე უწოდეს.

შემდეგ, რამდენადაც მცხვრებთა რიცხვი მა-ტულობდა და ამასთანავე აღებ-მიცემობაც ვითარ-დებოდა, ბაზარი შემოზღუდულ ალავიდან ნელ-ნელა ქალაქად ხდებოდა. ეს ის პირველი ეკონო-მიკრი ფორმების საფეხურია, რომელსაც ბიუხერ-მა, განცალკევებულ მეურნეობის წინააღმდეგ, სა-ვაჭრო-სააღებ-მიცემო მეურნეობა უწოდა: აქ ვაჭ-რული დამოკიდულება ხალხთა შორის გაცვლა-გა-მოცვლის საშუალებით ხორციელდება. აღებ-მიცე-მობის მეურნეობის დამახასიათებელი თვისება, რო-გორც ნათქვამიდან სჩანს, არის ორნაირი: პირვე-ლად ჩნდება ფული, — რომელიმე ადვილი სახმარე-ბელი ნივთი, რომლის ადგილიც ვაჭრობის განვი-თარების შემდგომ ლითონმა დაიჭირა. პირველად ლითონის ფულს თითბრისა და რკინეულისაგან ამ-ზადებდნენ და ამგვარი ფულის გადაცემ-გადმოცე-მა უფრო ადვილი იყო, ვიღრე პირუტყვისა. შემ-დეგ ხმარებაში შემოდის ეგრედ წოდებული „კე-თილშობილური ლითონი“. ამასთანავე ქალაქების ალორძინება შეადგენს, აგრედ წოდებულ, სააღებ-მიცემო მეურნეობის დასაწყის მომენტს, ე. ი. ისე-თი საზოგადოებრივ ფორმისას, როდესაც განსაზღ-რული ნატურალური მეურნეობა იხსნება, კარი ელება: განცალკევებული ერები ერთმანეთშორის აღებ-მიცემობასა და ვაჭრობას იწყებენ.

V.

ქველ პულტურულ ხალხების მეურნეობა.

რამდენადაც ჩვენ ისტორიული ლიტერატურიდან ვიცით, ძველი, უმთავრესი კულტურული ხალხების მეურნეობა ჩაისახა ისე, როგორც ზევით აღვნიშნეთ. როდესაც კაცობრიობამ ხსენებულ განვითარების საფეხურს მიაღწია, მისთვის საჭირო შეიქმნა მნიშვნელოვან მოვლენების, ხელშეკრულებების, პირობების და სხვა ამგვარი ამბების დახსომება. ამ საჭიროებამ დაპატიჟი წერის პირველი ფორმები. ქალაქის როგორც ბაზრისა, ფულის როგორც აღებმიცემობის საშუალების და წერის შემოლება ძველი კულტურული ერების უმთავრესი დამახასიათებელი ნიშნები იყვნენ. ამ ერების ისტორია ჩვენ ლეგენდებიდან და მატიანესაგან ვიცით. ძველებური ქალაქი ჩვენებურ ქალაქს სრულიად არ გავდა. მაშინდელ ქალაქის მცხოვრებს გლეხკაცობა შეადგენდა. მცხოვრებლების მომეტებულ ნაწილს ისეთი ოჯახები შეადგენდნენ, რომელთაც მამული ქალაქ გარეთაცა ჰქონდათ. შემუშავება ამ მამულებისა მონებსა და ყმებსა ეკისრებოდათ. თქვენ ეხლაც შეხვდებით ამგვარ ოჯახებს გერმანიის მიყრუებულ ალაგებში. წინანდელი ქალაქის მოქალაქე სრულიად არ გავდა დღევანდელ ჩვენ მოქალაქეს; იგი იყო პრივილეგიებით აღჭურვილი

გლეხი, რომელიც ქალაქისა და თავისი თემის სიძლიერით სარგებლობდა; ეს კი მას სოფლის დამორჩილების საშუალებას აძლევდა.

მართლაც, ქალაქი ჩქარა გარემო სოფლებზედ გამეფდაა; ადგილ-მამული დაისაკუთრა, თვით მცხორებნი კი ყმებად აქცია. ერთის მხრით სოფლად ჩვენ მომუშავე მონებსა ვხედავთ, მეორეს მხრით გლეხის — მიწადმომქმედის ყმად გადაქცევის განვითარება ემჩნევა, აღებ-მიცემობის და შრომის განაწილებასთან ერთად მდიდრდება ქალაქი, რომელიც ახლო-მახლო სოფლების გასაყვლეფად ყოველგარ საშუალებასა ხმარობს. ქალაქი სოფლებს ყვლეფს აღებ მიცემობის პროცესში ჯერ იმიტომ, რომ პირველს უკეთესი ალაგი უჭირავს და მეორე იმიტომ, რომ სოფლებმა ქალაქს გადასახადი უნდა აძლიონ, რადგანაც უკანასკნელი სოფელს დახმარებას უწევდა ხოლმე. მაგრამ თვით ქალაქშივე იბადება ქონებრივი უთანასწორობა. ქალაქ ადგილას ძველად დასახლებული გვარეულობები სარგებლობენ პრივილიგებით; ამასთანავე ქალაქში სხვა ელემენტებიც სახლდებიან, რომლებიც ვაჭრობით ან თავიანთი შრომის გაყიდვით სცხოვრობენ. ამგვარად, ქალაქად იბადებიან კლასსები და კლასსიური ბრძოლა ვითარდება. მართვა-გამგეობის სათავეში სხვა-და-სხვა გვარეულობები სდგებიან, რომელნიც ან თვითონ, ან კიდევ თავიანთ წინამძლოლების შემწეობით იპყრობენ სხვა ქალაქებს; ამნაირად ჩნდებიან დამოკიდებული ოლქები, რომელნიც შემდეგ-

ში სახელმწიფოს სახეს იღებენ. ასეთია მომეტებულ  
წილად სურათი ძველ კულტურულ აღგილებისა  
განვითარების პირველ საფეხურზედ.

ზემოდ მოყვანილ ბიუხერის თხზულებიდან, რომელიც სახალხო მეურნეობას შეეხება, მოვიყვან მოკლე აღწერას, სადაც ძველი ქალაქის განვითარება ნათლად არის დახატული. ბიუხერი ასწერს ძველ რომს, რომლის ისტრორიაც ჩვენ კარგად ვიცით და ამბობს: „იქ არავითარი საშუალო წოდება არ არის, არ არსებობს გლეხობა, როგორც არ არსებობენ ხელოსნები, არიან მხოლოდ სხვილი და წვრილი მოსაკუთრებები, მდიდრები და ღარიბები. მდიდარი ღარიბს სჩაგრავს, მის მიწას ხელთ იგდებს და ამგვარად ღარიბი პროლეტარად ხდება; თავისუფალს, მაგრამ უქონეო პროლეტარს მეურნეობაში შრომის მიღების ყოველგვარი საშუალება ესპობა. არ არსებობდა კაპიტალისტი, რომელსაც შრომის დაქირავება შესძლებოდა; არც მრეწველობა იყო, თუ მხედველობაში შინაურ მეურნეობის ხელოსნობას არ მივიღებთ. როგორც ლიტერატურული ნაშთები მოწმობენ, მაშინდელი ხელოსნები თავისუფლებას სრულად მოკლებულნი იყვნენ; ისინი ხელოსნები—მონები იყვნენ, რომლებიც მონამიწადმომქმედთაგან და მონა-მწყემსთაგან იღებდნენ ხორბალს, მატყლს, ხეს იმიტომ, რომ შეემუშავებინათ და მათ მაგიერ პური, ჩასაცმელი, იარაღი და საჭირო ნივთები ეშოვნათ. „ნუ იფიქრებთ რომ იგი რამეს ჰყიდულობდეს“ ამბობს პეტრონი ერთს

გამდიდრებულ ბედნიერას უესახებ. „ყველაფერი თავისავე სახლში უმზადდება. აქედანვე გამომდინარეობს თვალგადუწვდენელი მიწათმფლობელობა, ლატიფუნდიები, ურიცხვი მონები, რომელთაც თავი სხვა-და-სხვა მემამულეების ხელში ააქვთ მოყრილი. მონებს შორის შრომის განაწილება ისე საუკეთესოთ იყო დაყენებული, რომ მათ მიერ გაკეთებულ საქონელს და მათ შრომას შეეძლო საუკეთესო გემოვნების პატრონი დაკმაყოფილებინა“.

თქვენ განცვიფრდებით, რომ ჩამოგითვალოთ, თუ რანაირ სამუშავოებს ასრულებდნენ მაშინდელი მონები და რამდენ გვარი სამუშაო იყო ერთი რომელიმე რომაელ მდიდრის განკარგულებაში.

დაპყრობილ ქვეყნების განუწყვეტლივი გაფართოვება იყო მიზეზი რომის საზოგადოების გამდიდრებისა: ყოველ მხრიდან რომის ბაზარზედ მოერეკებოდნენ მონებს, რომლებსაც მემამულენი ყიდულობდნენ: პატარა სოფლების საზოგადოებებში მონებს ასახლებდნენ; სოფლის მცხოვრებლები, რომლებიც წინათ თავისუფლები იყვნენ, ონდათან ყმებად ხდებიან.

ასეთია ძველი საქალაქო თემისა და მასზე დაფუძნებულ ძველ სახელმწიფოს სურათი. სიმდიდრესთან ერთად სწავლა-განათლებამაც იმატა, ყოველმხრივ ტეხნიკური კულტურა განვითარდი; მაგრამ, რაღაც შრომა მხოლოდ მონებს ეკისრებოდა, ამიტომ შრომას ზიზღით უცქეროდნენ.

საბერძნეთშიაც ამგვარივე მოვლენას ვხედავთ;

ამ დიდად კულტურულ ხალხში სწორედ ისევეა, როგორც რომაელებში, რომელთა ტეხნიკა ბერძნებისაზედ უკეთესია. ბერძნისთვის სიტყვა „ხელოსანი“ ლანძღვასა ნიშნავდა. ამ სახელს იმისთანა კაცს ეძახდნენ, რომელიც თავის პროფესიის გარდა, არაფერზედ არა ჰუკრობს და ამასთანავე საშინელი ლარიბია და სრულიად არაფერი არ აინტერესებს.

ძველ დროის შრომელს კულტურაში ადგილი არა აქვს, იგი მომეტებულ შემთხვევაში თავისუბლებას მოკლებულია, იგი—მონაა. ამიტომ იმის გარდა, რომ შრომას ზიზღით უცქერიან, ამასთანავე შრომელი ადამიანის სრული ექსპლოატაციაა გამეფებული. უშველებელი შენობები, რომლებიც ძველმა რომმა დაგვიტოვა და რომლების ნაშთებსაც ეხლაც ადამიანი განცვიფრებაში მოჰყავს, არის შედეგი იმ მონების შრომისა, რომლებსაც პირუტყვსავით ექცეოდნენ. სიმღიდრეს საზღვარი აღარა ჰქონდა, ფუფუნება სისულელემდის მიღიოდა.

ხელმწიფებისა და მდიდარი ხალხის ეინის გავლენით ვეებერთელა შეჩრდები შენდებოდა. საერთოდ ისტორია მოწმობს, რომ როდესაც ხარისხოვან ადამიანს მედიდურება მოერევა, თავის ეინს დიდრონ შენობებისა და ძეგლების აშენებაში გამოხვავს ხოლმე. მოიგონეთ, სხვათა შორის, ძველი ეგვიპტის პირამიდები.

ამგვარად შრომას ზიზღით უცქეროდნენ; იმ დროს, როდესაც წარჩინებული გვარები შრომაში

იჯეხებოდნენ, მეურნეობას ან რომელიმე სხვა  
საქმეს ეწეოდნენ და ამგვარად მათ ეს შრომა ფი-  
ზიკურად ამაგრებდა,—ეხლა ფუფუნება მათ ასუს-  
ტებდა, აუძლურებდა. რაღგანაც მუშის ძალ-ლო-  
ნის დაზოგვას არავითარი საჭიროება არ მოითხოვ-  
და, ამიტომ მეურნეობის განვითარება ერთ ალაგ-  
ზედ შეჩერდებოდა ხოლმე. ის, რაც ბატონის მოთ-  
ხოვნილებას აღემატებოდა, ე. ი. ყველა ის, რაც  
ბატონისთვის არ იყო საჭირო, განუვითარებლად  
რჩებოდა. უფრო ფართო მოთხოვნილებები ვერ  
ვითარდებოდნენ. მუშების—მონების მომეტებული  
წილი დიდად შემავიწროვებელ პირობებში სცხოვ-  
რებდა; მათთვის საუკეთესო მოთხოვნილებები არ  
არსებობდნენ. თუმცა დიდრონი ძეგლები შენდე-  
ბოდა, მაგრამ წარმატება ცხოვრებაში მაინც არა  
სჩანდა. საწარმოვო იარაღის სისტემატიურ გაუმჯო-  
ბესებაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ხელოს-  
ნობა ვერ ვითარდებოდა. ბოლოს ხომ საერ-  
თო გადაგვარების ხანა დგება: იწყება გამე-  
ფებულ კლასსთა გადაგვარება და დასუსტება; თა-  
ვისუფალი პროლეტარი სრულ სიღარუემდის მი-  
დის, ბოლოს ხომ ყველა ამას მთელი სახელმწიფოს  
დასუსტება და დალაჩრება მოსდევს. ამ შედეგამდის  
მივიღნენ თითქმის ყველა კულტურული ერები;  
ისე რომ თვით დაბალ კულტუროვან ხალხსაც ვე-  
ლარაფერ წინაღმდეგობას ვერ გაუწევდნენ ხოლმე  
კულტურული, მაგრამ გახრწნილი ერები.

რომი გერმანელების და კულტების მსხვერპ-

ლად გახდა. ყოვლად შემძლე რომიც კი, ეს მთელი ქვეყნის უძლიერესი სახელმწიფო, რომლის უფლებებიც ყველა მხარეებზედ გავრცელდა, დიდძალი სიმღიდრე მოიპოვა და საუკეთესოდ შეიარაღა თავისი ხალხი, ველარ გაუმცილავდა იმ ველურ ხალხებს, რომლებიც რომის სიმღიდრით მოხიბლული, დაეცნენ მას. რომი დაიღუპა. იგი, როგორც ვიცით, თავისავე ფუფუნებამ დაღუპა. ეკრევე დაემართა რომაელების აღმოსავლეთ იმპერიას—ბიზანტიის სახელმწიფოს, რომელიც მოძრწიალე, ჯერ ისევ ნახევრად ველურ თურქების მსხვერპლად შეიქნა.

## VI

### ფეოდალური დროის მაურნეობა

ჩვენ ეხლა აღმოსავლეთს ვერ შევეხებით. ჩვენ იძულებულები ვართ ჩვენი გამოკვლევა ევროპის მეურნეობის შემდეგი განვითარების აღწერით შევზღუდოთ.

გერმანელმა ერმა, ჯერ ისევ ნახევრად ველურმა ხალხმა, რომი დაიპყრო. ერთი ნაწილი გერმანელებისა ჯერ კიდევ წინედ რომაელების ჯარში მსახურებდა. რომაელების დიდ სახელმწიფოს ნანგრევებზედ, რომელიც დღევანდელ საფრანგეთისაგან და გერმანელების ახალშენებისგან შესდგებოდა, იმავე ნახევრად ველურმა, რომაელთა ჯარში ნამსახურმა, გერმანელებმა შეჰქმნეს ახალი კულტურა.

ამასთანავე ძველი კულტურის ბევრი ელემენტები შეითვისეს. ეს ახალი შერეული გერმანელების კულტურა ბევრად დაბლა იდგა ძველ რომაელების კულტურაზედ, იგი უფრო უბრალო და მოუხეშავი იყო, მაგრამ ერთ შემთხვევაში კი იგი რომაელების კულტურაზედ მაღლა იდგა: გერმანელებმა ძველი მონობა უარპყვეს. რომაელების მონობა რომის ნანგრევებს ქვეშ დაიმარხა; ეს ფაქტი მონობის მოსპობისა, რომელიც კელტების გერმანელებისგან რომის დიდი აოხრების შედეგი იყო. მნიშვნელოვან ფაქტორად გახდა ახალ, უკეთეს მეურნეობის ფორმების განვითარებისა,

მაგრამ გერმანელების ვრცელ სამფლობელოში, რომელსაც აგრეთვე დღევანდელი საფრანგეთის ნაწილიც ეკუთნოდა, უველაზედ წინად იმისთანა ეკონომიური დამოკიდებულებები აღორძინდნენ, რომლების მაგალითიც ძველი დროის კულტურიდან გაჩვენეთ; ე. ი. იქ აღმოცენდნენ სოფლის თემები, რომლებიც განცალკავებულ მეურნეობისაგან შესდგეპოზნენ; მოეწყო აგრეთვე ბრძანებლობითი და მფარველობითი დამოკიდებულება. რომელიმე ბელადი ან მეფე იცავდა სოფლის საზოგადოებას. იმ სამსახურის სამაგისტროს, რომელსაც მეფე ან ბელადი ეწეოდა, ხალხი თავის ოფლით უხდიდა, — მათთვის მუშაობდა. ამგვარ შრომას საბატონო ბეგარა დაარქვეს. მფარველის მეოჯახეობას უწოდებდნენ მებატონის მეურნეობას. მებატონის მეოჯახეობა თანდათან იზდებოდა ისე, რო-

გორც წინედ ძველი ქალაქი. მებატონის სახლ-კარში სხვადასხვა გვარი სამუშაოები კეთდებოდა; ამათ რიცხვში, როგორც ძველად ქალაქში, სახელოსნოებიც სწარმოებენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მებატონებსთან მონები კი არ მუშაობდნენ, არამედ ის ხალხი, რომლებსაც მასთან უკვე განზრახული დამოკიდებულებანი აქვს. მაგრამ ჯერ ზედმეტი ლირებულება არ იყო, როგორც არ იყო საქონლის განსაზღრული ფასი; მაშინ ვერც კაპიტალისტის მოგებას და ვერც მოიჯარადრისი საფასურს შეხვდებოდით. იყო მხოლოდ სხვადასხვა სამსახურის დარგი. მცხოვრებნი მსახურობდნენ ძალდატანებით იმის სასარგებლოთ, ვინც იგინი დაიპყრო, მომეტებულ შემთხვევაში კი იმის მოვალეობას იხდიდნენ, რომელმაც მცხოვრები შეიარაღებული მტრი-საგან დაითარა. შემდეგში თუმცა ამგვარი მფრაველობა მეტი შეიქნა, მაგრამ გლეხების უფასო შრომა უცვლელად დარჩა. მებატონეები მდიდრდებოდნენ; შიშიანობა, პატარა ძარცვა-გლეჯა ისპობლდა და მაშასადამე შეიარაღებული დაცვისათვისაც უფრო ნაკლები შრომა იყო საჭირო: მაგრამ მიუხედავათ ამისა, უფრო მეტი ბეგარა და სხვადასხვა სავალდებულო გადასახადი ხდებოდა მცხოვრებთ, რაც, რასაკვრელია, დიდათ ხელს უშესობდა ფეოდალების გამდიდრებას და, მაშასადამე, სიმძლავრესაც. ის ხალა, რომელსაც ფეოდალები წვრილ მემამულეების დაცვას ანდომებდნენ, ეხლა მათ წინააღმდეგ მიმართეს; მაგრამ ფეოდალური მეურ-

ნეობის განვითარება ამ საფეხურზედ არ შეჩერებულა. პირვილად იგი კარჩაკეტილ მეურნეობას წარმოადგენს, ე. ი. ისეთ მეურნეობას, სადაც გასაყიდი და საალებმიცემო არა კეთდება-რა. აქ ყველა თავის პატრინის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კეთდება. მაგრამ თანდათან ეს კარჩაკეტილობა ისპობა. ზოგიერთი ძვირფასი ნივთეულობა, რომელიც ხმელთა შუა ზღვის სანაპიროების მდიდარ ქალაქებში, კეთდებოდა, ხდებიან მნიშვნელოვანნი და, როგორც ასეთნი, საალებ-მიცემო საგნადაც. ამის შემდგომ ნელ-ნელა ფულიც შემოდის ხმარებაში. მაგრამ ამასთანავე პირველ-ყოფილი ნატურალური მოსახლეობაც თავის არსებობას კიდევ დიდხანს განაგრძობს. ამავე დროს აშენდნენ ქალაქები, რომელთა დანიშნულებაც მარტო გარეულ მტრისაგან დაცვა კი არ იყო, არამედ დაცვა იმ ფეოდალების ძალ-მომრეობისაგან, რომლებიც გლეხ-კაცობის სახლ-კარს აწიოკებდნენ. ეს ქალაქები, როგორც სავაჭრო ადგილები, პირივილლეგიებით სარგებლობდნენ, სახელდობრ,—ქალაქში მცხოვრებთ თავისუფალ მოქალაქედ ითვლებოდა, მხოლოდ უკანასკნელი მოვალე იყო ფეოდალების სასარგებლოდ ბეგარა გადაეხადა; ეს ფეოდალები ქალაქ გარედ სცხოვრებდნენ. ქალაქის ტერიტორია თავისუფლებას იძლეოდა.

გერმანია, როგორც სხვა მხარეები, ძველ დროინდებულ ქალაქებით-სახელმწიფოებით იფინებოდა. მაგრამ გერმანიის ქალაქები ძველებურ ქალა-

ქებიდან იმით განირჩევოდა, რომ გერმანიაში მონობა მოსპობილი იყო. ბაზრის განვითარებასთან ერთად ყმები, რომლებიც წინედ ბატონის სასარგებლოდ ეწეოდნენ ხელოსნობას, ქალაქში გარბოდნენ, სახლდებოდნენ აქ და შრომობდნენ ისე, როგორც თავისუფალი ხელოსნები. ქალაქებში ხელოსნობა ვითარდება. ხელოსნები თავის დასაცველად კავშირს აღენენ. ამგვარად შესდგა პირველი ფორმა, რომელსაც შემდეგში ამქარი უწოდეს. ამქარი დასაწყისში მხოლოდ ხელოსანთა დამცველ ორგანიზაციას წარმოადგენდა. ძველ ხელოსნობას ძალიან ცოტა მსგავსება იქვს დღევანდელთან: წინედ იგი უბრალო მუშაობა იყო—შეკვეთილის შესრულება.

ხელოსანი საქონელს ან თავის საკუთარ სახლში ამზადებს ან შემკვეთელთან მუშაობს; მასალას კი ყოველთვის შემკვეთელი აძლევს. გასასყიდი საქონლის წარმოება გვიან იწყება. ხელოსანი, რომელსაც შეკვეთილი სამუშაო ემატება, შოულობს თანაშემწებს, რომლებსაც დიდხანს და ეხლაც მომუშავეებს უწოდებენ,—ამ სახელს წინად სოფლის მუშას უძახდნენ. ძველ ლიტერატურულ ნაშთებში მუშა ხელოსნის ხელქვეითს ეწოდება და უფრო ხშირად კი—მოსწავლეს. შეგირდების და თავისუფალ ხელოსნების შუა არავითარი გარდმამავალი საფეხური არა ყოფილი. ახალგაზდა, განსწავლული ხელოსანი ჩქარა თავისუფალი ხდება. სამოსწავლო დრო ხანგრძლივი არ იყო. ამგვარი მოსწავ-

ლეობის წესი ძალიან გავრცელებული იყო, მაგ., ინგლისში, სადაც მკაფიოებთა მომეტებული რიცხვი გერმანელთა რასისა არია. ინგლისურ ენაზედ არც კი მოიპოვება ისეთი სიტყვა, რომელიც შეგირდს ნიშნავდეს, დროთა ვითარებით ამქარი უფრო ვითარდება და ოსტატები ქალაქ ალაგას მეტს უპირატესობას ჰპოვებენ; უკანასკნელნი იძენენ შეძლებას და მათ ოსტატებს უწოდებენ. ხელოსნობის შესწავლის უმაღლ, შეგირდი ოსტატად ვერა ხდება. შეგირდსა და ოსტატს შუა ჩნდება გარდამავალი საფეხური: ოსტატის თანაშემწე, რომელიც დიდხანს ოსტატის უბრალო მშველელად რჩება და საჯამაგიროში ოთახსა და სმა ჭამის გარდა მცირეოდენ ფასსაც იღებს.

პირველყოფილ საზოგადოებების და თავისუფალ ქალაქის ბაზარს შორის დროთა ვითარებით იწყება საქონლის და ურომის რეგულიარული აღეპნიცემობა. ქალაქები მდიდრებიან, მოთხოვნილებები მატულობენ და ყველა ამასთანავე სწორი ვაჭრობა ვითარდება. ამის ერთი მიზეზთაგანი ის გარემოება არის, რომ ომიანობა სუსტდება და მცხოვრებნი კი სისწრაფით მატულობენ. უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოებაც: აღამიანთა რიცხვი, რომელიც განსაზღრულ ადგილზედ სცხოვრობს, იცვლება მეურნეობის და გვარად. მე ეხლა ციფრები ხელთ არა მაქვს, მაგრამ თქვენ აღვილათ მიხვდებით, რომ ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ მცხოვრებნი რას მისდევენ, პირ-

ველუოფილ მიწადმოქმედებას, უკვე მოწყობილ სა-  
სოფლო მეურნეობას, საქონლის მოშენებას თუ ნა-  
ღირობას. სანაღიროდ ცოტა ხალხისთვისაც კი ვრ-  
ცელი ადგილია საჭირო. თუ ხალხი საქონლის მო-  
შენებას მისდევს მაშინ იმავე სივრცეზედ, შედარე-  
ბით ნაღირობასთან, უფრო მეტს შეუძლიან იცხო-  
ვროს. როდესაც მიწადმოქმედებას და სისტემატიუ-  
რად ხილეულობის მოვლას იწყებენ, ზემოდ ხენე-  
ბულ სივრცეზედ, რომელზედაც ნაღირობით მხო-  
ლოთ ერთი მუჭა ხალხი იკვებებოდა, შეუძლიან  
ორმოცჯერ მეტმა მცხოვრებმა გამოიკვებოს თავი.  
როდესაც კი ხალხი ხელოსნობას მიჰყოფს ხელს და  
ამ ხელოსნობის საშუალებით საწარმო იარაღსაც  
გააუმჯობესებს, რაც თავის მხრივ მიწის უკეთ და-  
მუშავებაში და მიწის ნაყოფის გარდაქმნაში ხელს  
უწყობს,— მაშინ იმავე სივრცეზედ გაცილებით მეტს  
ხალხს შეუძლიანთ იცხოვრონ, ვიდრე იმ შემთხვე-  
ვაში, როდესაც იგინი ან მიწადმოქმედებას, ან სა-  
ქონლის მოშენებას და ან ნაღირობას ეწევიან. ამის  
დასამტკიცებლად აიღოთ მაგალითი დღევანდელი  
ცხოვრებიდან. როდესაც ევროპიელები ამერიკაში  
შევიდნენ, მაშინ შეერთებულ შტატების სივრცე-  
ზედ, ამ ვეებერთელა ტერიტორიაზედ; რომელიც  
ჯერაც არ არის დამუშავებული ისე, როგორც რი-  
გია და არც ისე მჭიდროდ არის დასახლებული,  
სცხოვრობდა სულ რამდენიმე ასი ათასი ინდოე-  
ლი,— სულ რომ ბევრი ვთქვათ, ნახევარ მიღლიო-  
ნიდან ერთ მიღლიონამდეს, მაგრამ მიუხედავად

ამისა, ეს ინდოელები სანადირო ალაგების გულის-თვის განუწყვეტლივ ერთი ერთმანეთს ებრძოდნენ. ეხლა იმავე შეერთებულ შტატების სიცრუბეზედ ოთხშოუ მილლიონ ხალხამდეს სცხოვრობს; თუ თქვენ ამ ოთხშოუ მილლიონს 20-30 მილიონამდეს მუშებს გამოაკლებთ, რომლებიც თქვენთან შედარებით უკეთ სცხოვრებენ, რჩება კიდევ 50 მილ. მცხოვრები. ამ 50 მილ. მცხოვრებელის შეძლება სხვა და სხვანაირია, მაგრამ ზოგი მათი წარმომადგენელი გამოუთქმელი და თითქმის რომ ზღაპრული მდიდარია.

თქვენ ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ყველა ეს სწორებ იმ ტერიტორიაზედ ხდება, რომელზედაც გაცილებით მცირე რიცხოვანი ინდოელები სანადირო ადგილების გულისთვის ერთი ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევდნენ.

იგივეა ამ შემთხვევაშიაც. ერთსა და იგივე მიწას უფრო მეტ-მეტი მცხოვრებთ რიცხვი შეუძლიან ასაზრდოვოს; გამათახსირებელი ომიანობა, როგორც ასევებობის საშუალება, ისპობა; მშვიდობიანობას კი თან მცხოვრებთა გამრავლება სდევს. მიწა კერძო საკუთრებად გადაიქცა, გერმანია—იმპერიად, თითქმის ყველგან გერმანელი მეფეები მებატონეებს მიწებით ასაჩუქრებდნენ; ეს მებატონეები, როგორც მეფის მოადგილები, განსაკუთრებული უფლებებით იყვნენ აღჭურვილნი; ამ უფლებების ძალით მიწა მეებატონეების სრულს საკუთრებას შეადგენდა. ის მიწა, რომელიც მებატონის

ხელში გადავა, ძველებურად თავისუფალი აღარ იყო, რომ მსურველს მისი დამუშავება თავის სა-სარგებლოდ შესძლებოდა. ვისაც მიწის დამუშავება სურდა, იგი იძულებული იყო მებატონისთვის გა-დასახადი, ხერკი, რენტა მიეცა. მწის მფლობელობა ადამიანის შევიწროვების სრულ საშუალებას იძლევა. განსაკუთრებით სოფლის მშრომელი კლასსი დიდ გაჭირვებაში იყო; მას ფეოდალი-მემამულეები ყოველნაირად ყვლეფავდნენ და ტყავს აძრობდნენ. ფულს მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა, ვაჭრობა ვითარდებოდა; მემამულეების და ბურჟუას გამდიდრებასთან ერთად ფუფუნებითი ცხოვრების მისწრაფება მატულობს, რის დასაქმაყოფილებელი ნივთეულობაც შორ ქვეყნებიდან მოდიოდა. ამ ნივთების კეთებამ დიდი სარგებლობა მოიტანა. ამ გზით განვითარდა სავაჭრო კაპიტალი, ე. ი. ფული ან ფულის ღირებულება, რომლის დანიშნულებაც ვაჭრობა და მოგების მოტანაა; აღმოცენდა ახალი წოდება ვაჭრებისა. საქონლის დამტარებელი ვაჭ-რადა ხდება, რომელიც დიდ გავლენას იხვეჭს, ხდება დიდ მნიშვნელოვან საზოგადო ძალათ, რად-განაც მას ბევრი ფული აქვს. ამავე დროს დავა-ლიანებული სოფლის მცხოვრები ღატაკდება და ბევრი მათგანი ქალაქ ადგილას სამუშავოდ მიისწ-რაფის.

ქალაქები შესამჩნევად იზდებიან; ამქრობა, რომლის პირველი დანიშნულება ხელოსანთა კავში-რის ინტერესების დაცვა იყო შეძლებულ კლასებ-

ბის მეტოქეობისაგან, ეწინააღმდეგება გაპროლეტა-  
რებული გლეხის ქალაქში მოსვლას. ოსტატის  
წოდების მიღება ძნელდება; ქალაქის პროლეტარი  
მატულობს,—რადგანაც ბევრი ამათგანი ოსტატო-  
ბას ვერ აღწევს. მას შემდეგ, რაც აღებ-მიცემობა  
იწყება, მდიდარი ან შეძლებული ხელოსნები გასას-  
ყიდ ნივთების მომზადებას უმატებენ, ე. ი. ბევრი  
ამთგანი მომეტებულ წილს საქონლისას გასასყიდათ  
ამზადებენ: ისინი უბრალო ხელოსნები აღარ არიან,  
რომლებიც საქონელს მარტო შეკვეთით ასრულე-  
ბენ; ისინი, როგორც ვთქვი, უფრო ბაზრისთვის  
მუშაობენ. ასეთ საგნებს ჩვენ საქონელს უწოდებთ.  
ამგვარად ვითარდება მეურნეობა, რომელიც საქონ-  
ლის წარმოებაზედ არის დაფუძნებული.

## VII

### კაპიტალისტური მეურნეობის პირველი ფორმები

თქვენ უნდა იცოდეთ, რომ კაპიტალისტური  
წესწყობილება, რომელიც ჩვენში, გერმანიაში, მე XV  
XVI და XVII საუკუნეებში დამყარდა, სუსველ-  
გან ერთ გვარად არ ვითარდებოდა. ერთსა და იმავე  
დროს იმ ადგილებთან ერთად, სადაც უმთავრესად  
საქონელს აწარმოებდნენ, თქვენ ნახავდით ისეთ  
ოლქებსაც, სადაც სოფლის მეურნეობა გარდმავალ  
საფეხურზედ იყო უცვლელად დარჩენილი; აქ

ფულს თითქმის უმნიშვნელო ადგილი ეჭირა; თითქმის ყველაფერი, რაც სახლობისთვის საჭირო იყო, ძველ ოჯახურად კეთდებოდა და ამიტომ მხოლოდ ნაწარმოების უმნიშვნელო ნაწილი იყიდებოდა. ყველა ამას ჩვენ ვხვდებით მე-XIX საუკუნემდის გერმანიაში. გლეხი უფრო ჩქარა დასთანხმდებოდა ათჯერ მეტი ლირებული მიეცა თავის ნაწარმოებიდან ღარიბი ხელოსნისთვის, ვიდრე რამდენიმე გროში. თუმცა გლეხი საიმისოდ არ იყო ფულის დიდმნიშვნელობაში დარწმუნებული, მაგრამ ის გარემოება, რომ იგი ფულის მხრივ ტანჯვაში იყო, გლეხს აიძულებდა ფულისთვის თაყვანი ეცა. სოფლის მეურნეობის ნაყოფს გლეხის თვალში შედარებით ძალიან ცოტა ფასი ჰქონდა.

მჭიდროთ დასახლებულ ადგილებში მთელი მეურნეობა მაღა საქონლის დასამზადებელ მეურნეობად ხდება. ფულის ბრუნვა მატულობს და ამასთან ერთად ვაჭრობა ნდობაზედ მყარდება. სდგება გძელ-ვადიანი ხელ-შეკრულებები, რომლების ძალითაც ფულის მიცემა შემდეგისთვის იდება; მომეტებულად ფულს სარგებლით გაასესხებდნენ ხოლმე. ყველა ეს გარემოებები ფულის, დიდი კაპიტალის ერთი ადამიანის ხელში მოგროვებას ხელს უწყობდა. ფულის და ჩარჩის კაპიტალს გარდა, თანდითან ხმარებაში შემოდის კიდევ ერთი ფორმა კაპიტალისა, რომლის პირდაპირი დანიშნულებაც წარმოებაა, ამასთანავე კაპიტალისტი აიძულებს ხელო-

სანს, წვრილ ისტატს, მომეტებულ წილს მუშებისას, რომ საქონელი კაპიტალისთვის კეთდებოდვს. ეს დარგი კაპიტალისა შესაფერ პირობებს ჰპოვებს: ქალაქ ალაგას მოგროვილია ბევრი სამუშაო ძალა, რომელიც ქირავდება, გამჭირავებელი შეძლებულ ამქრის ხელოსნის უპირატესობაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს. შემდეგ კაპიტალის უპირატესობა იმაში იხატება, რომ ზოგი სამრეწველო საქონლის წარმოება, როგორც, მაგალითად, მაუდისა, ტილოსი, რკინეულობისა — ხშირად კარგ ნიადაგსა პოულობს, ე. ი. ზოგ ადგილებში ერთი რომელიმე ხელოსნობა, როგორც რიცხვით, ისე თვისებებით, დიდათა ვითარდება; ყველა ამას დასაწყისში ბუნებრივი პირობები უწყობენ ხელს. ასეთ ალაგებში შესაფერა მრეწველობა უდიდეს განვითარებას აღწევს.

ამგვარად სავაჭრო კაპიტალთან ერთად სამრეწველო კაპიტალიც აღმოცენდა, ე. ი. კაპიტალი, რომელიც მრეწველობას იმ მიზნით ეხმაოება, რომ სარგებელი მოუტანოს, — კაპიტალი, რომლის პატრონიც მუშას და ხელოსანს გმნსაზღრულ ფასად ქირაობს, პყიდის ამათ ძალ-ღონით დამზადებულ საქონელს და ამგვარად ფულს იგებს, ასეთია დღევანდელი კაპიტალიზმის დასაწყისი. კაპიტალისტურ მეურნეობის ეს დასაწყისი ამქრობრივ მეურნეობის ნარჩენებიდან, ფეოდალიზმიდან და ის უკანასკნელის გახრწნილებიდან ვითარდება.

ამ პერიოდის დამახასიათებელია ის გარემოებაა,

რომ დიდრონ ოლქებში ძველებური ოჯახური წარ-  
მოებაა გამეფებული, საქონლის წარმოება კი თით-  
ქმისს გამონაკლის შეადგენს. კაპიტალისტები ამა თუ  
იმ საქონელის დამზადებას ხელოსნებს უკვეთავენ  
ხოლმე. მაგრამ პირველად კაპიტალისტი აძლევს  
მათ დაუმუშავებელ და არა საწარმოვო მასა-  
ლის; ხელოსნები დაიმუშავებენ და შემდეგ კაპი-  
ტალისტი დამუშავებულს თავის სასარგებლოდ ჰყი-  
დის. შემდეგში იარაღსაც აძლევს მაგრამ მწარმოე-  
ბლები დიდხანს კიდევ ხელოსნებად ითვლებიან. ეს  
წარმოება არის მეწვრილმანე „კუსტარებისა“, რომ-  
ლებიც ხელოსნებისავით მუშაობენ; მაგრამ ეს ის  
ხელოსნები აღარ არიან, როდესაც იგინი შეკვეთი-  
ლობის შესასრულებლად მუშაობდნენ; ესენი და-  
მოუკიდებლები არ არიან, მომეტებული წილი ამათ-  
განი კაპიტალისტის სასარგებლოდ მუშაობს. ამ-  
გვარ შრომას მანუფაქტურას (ხელოქმნას) უწოდე-  
ბენ. ამგვარმა წარმოებამ თავის დროზედ დიდი გა-  
ჭირვება გაძოიარა; უმთავრესად ხელს ამქრობა უშ-  
ლიდა, რომელიც თავისითვის საშიშარ მეტოქეთ  
სახავდა და მის მოსასპობად ყოველივე ლონის ძიე-  
ბას ხმარობდა. მანუფაქტურის მოთავეები ხშირად  
იძულებული იყვნენ მოქმედობა იქ დაეწყოთ, სა-  
დაც ამქრობა ან სულ არ იყო ანარა და სუს-  
ტობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მანუფაქტურის  
გამგენი შრომას საქარხნო შენობაში უყრიან თავს,  
მაგრამ ეს ქარხნები დღევანდელ ქარხნებთან არ უნ-  
და აურიოთ. წინანდელი ქარხნები თითქმის მოკლე-

ბულები იყვნენ მანქანებს და განვითარებულ შრო-  
მის განაწილებას. მაშინ ქარხნები ისეთ შენობებს.  
წარმოადგენდნენ, სადაც რამდენიმე ერთად შეგ-  
როვილი ხელოსანი მუშაობდა. იმ გარემოებამ, რომ  
შრომა ერთ განსაზღრულ შენობაში სწარმოებ-  
და, შრომის განაწილება და სხვადასხვა სპეციალისტ-  
მუშების მზადება, წინანდელთან შედარებით,  
უფრო ადვილი გახდა. ამ სპეციალის-მუშებს.  
შეეძლოთ შემდეგში, როდესაც შრომის განაწი-  
ლება განვითარდა, უფრო მეტიც და იაფალაც  
დაემზადებინათ, ვიდრე წინად, როდესაც თვი-  
თვეული მუშა მთელ საქონელს თვით ამზადებ-  
და. მას შემდეგ, რაც შრომა ცალცალკე ხელსაჭ-  
მედ დაანაწილეს, დაიბადა იმის მოთხოვნილებაც,  
რომ რაც შეიძლება ბევრი ეწარმოებინათ; ამასთა-  
ნავე ამ შეერთებულ, განაწილებულ და გაწრთვნილ  
შრომის საშუალებით უფრო უკეთესად შეეძლოთ  
ბუნების ექსპლოატაცია. შემოვიდა ხმარებაში აგ-  
რეთვე საწარმოვო იარაღიც, რომელიც ამა თუ იმ  
მექანიზმის და ადამიანის ძალის საშუალებით წარ-  
მოებას აჩქარებდა. თანდათან შევიდა ხმარებაში  
წყლის ძალა, იწყეს ორთქლის ძალით სარგებლო-  
ბა იქ, სადაც წყალი ან საყოფი არ იყო ან არა და-  
სულ არ იყო.

ამავე დროს საშინალი გავრცელდა საზღვაო  
ვაჭრობა; აღმოაჩინეს ამერიკა, ევროპაში იწყეს ზღვის  
იქითა მხრებიდან ყოველგვარი ძვირფასეულობის  
შემოტანა, რის სამაგისტროთაც თავიანთ ნაწარმოებს.

გზავნიდნენ. ამიტომაც იყო, რომ საქონლის  
აღებ-მიცემობამ და ამასთან ერთად ფულის მნიშ-  
ვნელობამაც იმატა. ძველმა ხელოსნობამ ახალ აღმო-  
ცენებულ მანუფაქტურულ წარმოებას მეტოქეობა  
ვეღარ გაუწია და ერთი ნაწილი კიდევაც შთანთქ-  
მულ იქმნა. თვისუფალი ხელოსნები დაქირავებულ  
მუშებად გადაიქცნენ. მეორე მხრივ სხვილი მიწად-  
მოქმედობა მშრომელი ხალხის რიცხვს აძლიერებ-  
და. გლეხები ლარიბდებოდნენ — მიწას ჰკარგავდნენ.  
გაღატაკებული გლეხები ქალაქს მიეშურებოდნენ  
და ამნაირად დასაქირავებელ მუშათა რიცხვი შე-  
სამჩნევად მატულობდა, რაც კაპიტალს დიდს სამ-  
სახურს უწევდა. ასე და ამგვარად მრავლდება იმა-  
თი რიცხვი, ვისაც ჩვენ პროლეტარს ვუწოდებთ,  
ე. ი. მუშები, რომლებიც ყოველივე საკუთრებას  
მოკლებულნი არიან და თავიანთი შრომის გაქირა-  
ვებით სცხოვრობენ. სიტყვა პროლეტარიატი რო-  
მაელებიდან წარმოსდგება; ეს სიტყვა რომის იმპე-  
რატორების დროს ნიშნავდა თუმცა გაღატაკებულს,  
მაგრამ მაინც თავისუფალ მოქალაქეს და არა მო-  
ნას. კაცი, რომელსაც მარტო *proles* ჰყავს, ე. ი.  
მარტო შვილები, — იყო გაღატაკებული, უქონელი  
კაცი, რომელიც თავის ძალის აქირავებდა და ამ-  
ნაირად სცხოვრობდა, ანუ როგორც გამოჩენილმა  
ეკონომისტმა სთქვა, კაცი, რომელიც საზოგადოე-  
ბის ხარჯზედ სცხოვრობდა. ამის სრულ წინააღმდე-  
ვობას წარმოადგენს ის, რასაც ეხლა ჩვენ პროლე-  
ტარიატს ვუწოდებთ, ე. ი. ახალი დარგი მშრო-

მელი ხალხისა, რომელიც არც თავისუფალი ხელოსნები არიან, არც თავისუფალი მწარმოებელნი, მაგრამ ამასთანავე არც მონები არიან.

ეხლა სწორედ ამ უკანასკნელს უწოდებენ „პროლეტარს“, მაგრამ დღევანდელ და რომალების პროლეტარებს შორის განსხვავება იმაში გამოიხატება, რომ დღევანდელი პროლეტარი დიდ-მნიშვნელოვან ელემენტად ხდება იმ სოციალურ ნაწილისა, რომლის შრომითაც მთელი საზოგადოება სცხოვრობს. ამგვარი მდგომარეობა ერთ დღეს არ შექმნილა; ის ოლქები, სადაც მიწადმოქმედობას ეწევოდნენ სჭარბობდნენ ქალაქებსა და ზოგ ადგილს ხომ ეხლაც სჭარბობენ.

პრუსიის მაშინდელ მცხორებთაგანი  $\frac{2}{3}$ -დგან  $\frac{3}{4}$ -დის სოფლად სცხოვრობდა და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ქალაქებში სცხოვრობდნენ. სოფელს დიდი გავლენა ჰქონდა ქალაქზედ და კერძოდ პატარა ქალაქები ხომ მიწადმომქმედ რაიონის განუსაზღვრელ გავლენის ქვეშ იყვნენ.

უმთავრესი ნიშნები კაპიტალიზმისა მის და-საწყისში შემდეგია: ძალიან ჩამორჩენილი — რაღანაც ახლად იწყებს თავის არსებობას, — ქალაქის პროლეტარიატი, მნიშვნელოვანი სავაჭრო კაპიტალი, მანუფაქტურის და ქარხნების დასაწყისი, ფულის გაღმერთება; ამასთანავე მომეტებული წილი მცხოვრებთა ისევ სოფლის მეურნეობას მისდევს; ამავე დროს შეხვდებით ძველ შინაურ თემობის ნაშთებს; თუმცა მისი უფლებრივი და ეკონომიკური

განკერძოვება შესუსტებულია და მასში უკვე აღებ-  
მიცემობაა შეპარული. კაპიტალიზმის აღორძინება  
მეტად გამათახსირებელი შეიქმნა ბევრ კლასსთა-  
თვის.

მშრომელი ხალხის კლასი უზომოდ იყვლი-  
ფებოდა; იგი თითქმის უპატრონო იყო. ამქრობა  
ან თვით თავიანთ ნებით სპობლნენ თავიანთ სი-  
ცოცხლეს, ან არა და, რადგანაც ივინი ძველი წეს-  
წყობილების მომხრენი აღმოჩნდნენ, ძალათი ხუ-  
რავდნენ. ფულითი მეურნეობა სულს აძრობდა სოფ-  
ლის მცხოვრებს, მხოლოდ ქალაქ აღვილს კი სიმ-  
დიდრე უფრო ძლიერდებოდა, მაგრამ აქაც სიმ-  
დიდრე მებატონეების ხელში გროვდებოდა.

## VIII

### განვითარებული კაპიტალისტური გეზრეობა.

კაპიტალიზმა განვითარება განაგრძო. ვაჭრო-  
ბის გავრცელებასთან ერთად ვითარდება საკრედი-  
ტო მეურნეობა; ჩნდება საკუთრების ახალი ფორმე-  
ბი. როდესაც მოძრავ ქონების და ფულს შედა-  
რებით ცოტა მნიშვნელობა ჰქონდა, სიმდიდრის  
წარმომადგენელად მსხვილი მემამულე ითვლებოდა.  
დროთა ვითარების გამო პირველ აღვილს ფული  
იჭერს, მაგრამ მარტო ლითონის ფული კი არა.  
რადგანაც ლითონის ფული აღარ ჰყოფნის, ამი-  
ტომ მას ქალალდის ფული და ბანკის ბილეთები

მიაშველეს, რომლებიც მიწის შემოსავლის და სხვა-  
და სხვა სიმდიდრის გამომხატველები არიან. ამი-  
ტომ ქონება თანდათან მოძრავი ხდება. მიწის ად-  
გილიდან დაძრა არ შეიძლება, მაგრამ სამაგიეროდ,  
გიპოტეკა ერთი ხელიდან მეორეში აღვილად გა-  
დადის. დიდი საქარხანო შენობებს ადგილიდან  
ვერ დასძრავ, მაგრამ თუ ქარხანა აქციონერთა კომ-  
პანიას ეკუთვნის, მაშინ მის აქციებს შეუძლიან  
ერთ დღეს ასჯერ შეიცვალოს პატრონი. ერ-  
თი სიტყვით, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, სიმ-  
დიდრე ფრთხებს ისხავს, და ეს წარმოების კონცენტ-  
რაციას საშინლად ხელს უწყობს. კაპიტალიზმი ბუ-  
ნების დამორჩილების საშუალებას იძლევა, სიმდიდ-  
რის გადიდება კი კაპიტალისტთა რიცხვს ამრავ-  
ლებს. კაცი, რომელიც ყოველ დღიურად ცხოვ-  
რობს, მომეტებულ წილად ვერც კი ამჩნევს, თუ  
რა ძალიან გავრცელდა აქციები.

გერმანელთა კაპიტალისტურ დაწესებულებებს,  
რომლებსაც აქციონერთა საზოგადოების ფორმები  
აქვთ მიღებული, ოცდა ათი ათას მილლიონ მარ-  
კამდის აქცის შეძენილი. ხსენებული ფორმა, თუ მხედ-  
ველობაში არ მივიღებთ ფულებს, შედარებით და-  
ნარჩენ საკუთრების ფორმებთან, ყველაზედ მოძრა-  
ვი ფორმაა. ანასთანავე გიპოტეკის დამგირავებელი  
ფურცელი არის მოძრავი ფორმები საკუთრებისა  
მიწაზედ და სახლზედ. აქციების საშუალებით მესა-  
კუთრეს შეუძლიან ყოველგვარი შრომით ისარგებ-  
ლოს მაშინაც კი, როდესაც იგი შრომის პროცეს-

ში არავითარ მონაწილეობას არ იღებს. აქციონერ-მა, რომელიც რომელიმე აქციას ჰყიდულობს, ხში-რად სრულიად არ იცის და არც სურს რომ გაი-გოს, თუ რას აწარმოებს საზოგადოება, რომლის სახელსაც აქცია ატარებს: ის მხოლოდ ბანკირს შეეკითხება, სასარგებლოა თუ არა საზოგადოების საქმე და, თუ სასარგებლოა, რა დივიდენდს იძლე-ვა აქციები. იმას სრულიად არ ეინტერესება, თუ რა კეთდება, ან როგორ მიმდინარეობს საზო-გადოების საქმე და სრულიად არავითარი წარმოდ-გენა არა აქვს იმ ხალხზედ, რომელიც წარმოებას ეწევა. აქციის მყიდველს მხოლოდ დივიდენდის რაო-დენობა აინტერესებს. სწორედ ასევეა გიპოტეკე-ბის საქმეც. რომ უკანასკნელი უფრო მოძრავი გახდეს, შემოდებულია შემდეგი ფორმა: გიპოტეკუ-რი ბანკები ყიდულობენ და აგროვებენ გიპოტეკას და შემდგომ ჯამის ღირებულს საგირავნო ფურც-ლებს აძლევენ, რომლებსაც ისევე შეუძლიანთ ერთ ხელიდან მეორეში გადასვლა, როგორც აქციებს და წალდს ფულს. დღევანდელ საზოგადოებაში კა-პიტალის მოგებას სულ მცირე დამოკიდებულება აქვს იმ შრომასთან, რომელიც მოგების წყაროა.

დღევანდელ საზოგადოებას ახასიათებს კიდევ ის გარემოება, რომ ქალაქის ბატონობა სოფელზედ მატულობს. მარტო ეკონომიურად კი არა, არა-მედ მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სოფელი ქალაქს ემორჩილება. სასოფლო მეურნეობა რაც დრო გადის, უფოთ დიდ დამოკიდებულებაში ვარ-

დება ქალაქის მხრივ; სოფელში ნელ-ნელა ჰქრება უკანასკნელი ნაშთი ძველი შინაურ მრეწველობისა. ჩაიხედეთ გერმანიის მიყრუებულ აღგილებში და ოქვენ დაინახავთ რომ, უკანასკნელი სოფლის მცხოვრებნიც კი ჰყიდულობენ თითქმის ყველას, რაც მათ სჭირიათ, და ოვითონაც საქონელს საბაზ-როდ ამზადებენ.

თვით დამაკმაყოფილებელი მეურნეობა მნიშვნელობასა ჰკარგავს, ამის აღგილს ფულის მეურნეობა იჭერს, ასევე ემართება უკანასკნელსაც, ამის აღგილსაც სხვაგვარი მეურნეობა იჭერს და სხვა. ჩვენი მეურნეობა ეხლა სრულიად განვითარებული აღებ-მიცემობითი მეურნეობაა. ქალაქ ალაგას ხალხი მატულობს, ქალაქები შესამჩნევად იზრდებიან, აღებ-მიცემობა ვითარდება და საქვეყნო ხასიათს იღებს. ვინ მოიფიქრებდა რომ ეხლა ჩვენ ფორთოხალის და ბანანის განუსაზღვრელი რიცხვი შეგვეძლებოდა გვეყიდნა? ხშირად გაიგონებ მოვაჭრისა-გან, როცა კი მას ვაშლების თვისებებზედ დაუწყებ ლაპარაკს: „ოჰ, ეს ნამდვილი ამერიკულია!“ წარმოიდგინეთ: ვაშლებს, — ჩვენ სამშობლო ხილს შორეულ ამერიკიდან აუარებელ რიცხვს ვიწერთ! ვაჭრობამ უაღრეს განვითარებას მიაღწია. წარმოების გაუმჯობესებამ ვაჭრობაზედ იქონია გავლენა, აგრეთვე უკანასკნელშა თავის მხრივ წარმოებაზედ იქონია გავლენა. აიღეთ და შეადარეთ ჩვენი დღე-ვანდელი რკინის გზები და მისი მიმოსვლა იმას, რაც ამ ოცდა ათი, ორმოცი წლის წინეთ იყო.

ამ შედარებიდან ოქვენ დაინახავთ იმ დიდ ცვლილებას, რომელიც ამ ხნის განმავლობაში მოხდა. როგორც მოგეხსენებათ, დღეს გერმანიაში არის ერთი დიდ მნიშვნელოვანი საკითხი — აგრარული. ეს საკითხი, რომ საფუძვლიანათ შეისწავლოთ, თქვენ დაინახავთ, რომ იგი მარტო იმაში არა მდგომარეობს, რომ მიწადმომქმედს არსებობა არ შეუძლიან. გლეხს რომ ისეთივე ცხოვრება უნდოდეს, როგორც დღემდის სცხოვრებდა, იგი სრულიად დამშვიდებული იქნებოდა, რადგანაც თავის ნაშრომზედ დღეს, წინანდელთან შედარებით, უფრო მეტს იღებს. არა, აგრარული საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ გლეხს უკეთეს ცხოვრების სურვილი ეღვიძება; გლეხი, რომელიც თავის სოფლის ზნე-ჩვეულობებით ისე ამაყობდა, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ქალაქის დიდ გავლენას გრძნობს, იმგვარი ცხოვრებისთვის კი მას შემოსავალი არა ჰყოფნას. ეს გარემოება ქალაქის სოფელზედ ბატონობით სრულიადაც არ აიხსნება. პოლიტიკურად, ჩვენშიაც კი, საარჩევნო კანონების და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების შემწეობით, — სოფელი კიდევაც მეტი უპირატესობით არის ალჭურვილი, ქალაქთან შედარებით. არა, ჩვენი აგრარული კრიზისის საიდუმლოება ქალაქის ეკონომიკურად და ეტნოლოგიურად სოფელზედ ბატონობაში მდგომარეობს. ეტნოლოგიური ბატონობა ერთს ზნე-ჩვეულობაში იხატება.

დღეს ჩვენ ამ საკითხზედ არ შევჩერდებით,

მხოლოდ ვიტყვით ორიოდე სიტყვას და ისიც სა-  
ერთოდ. კიბიტალისტურ მეურნეობის დიდმნიშვნე-  
ლოვან შედეგათ ჩაითვლება სამრეწველო მუშების  
შესამჩნევი გამრავლება. უკანასკნელი 1895 წ.  
პროფესიონალურ და სამრეწველო აღწერიდან  
სჩანს, რომ გერმანიაში ამ წელს სამრეწველო მო-  
მუშავე 5 მილ. იყო, თუ ბარგის მზიდავ მუშებს არ  
მივათვლით. საქართვო ინსპექტორების და დამზღვე-  
ვი საზოგადოებების ანგარიშიდან სჩანს, რომ 8 წლის  
შემდგომ მუშათა რიცხვი 7—8 მილ-ის ავიდა. აქ  
არ არიან ჩათვლილნი ასი ათასობით წვრილი ხე-  
ლოსნები, რომლებიც თუმცა კაპიტალისტის ქარხ-  
ნებში არა მუშავობენ, მაგრამ ფაქტიურად ისინი  
კაპიტალისტის დაქირავებულ მუშებად გამოდიან.  
ამ აუარებელ მუშების რიცხვს თითქმის არავითარი  
მსგავსება არ ააქვთ იმ ხელოსნებთან, რომლებსაც  
ჩვენ კაპიტალიზმის განვითარებამდის ვიცნობდით.  
ეხლანდელ მუშას არც სმა ჭამა აქვს სამუშაოს  
მიმცემთან და არც მის სახლში სცხოვრობს; ეხლა  
მუშას შეუძლიან თავისუფლად ოჯახობას მოეკი-  
დოს; ესე იგი, ეხლანდელ მუშას თავის საკუთარი  
ოჯახი აქვს და მისი შენახვა მას თავს აწევს. 1895 წ.  
ექვსი მილლიონი სამრეწველო და სახელოსნო მუ-  
შებისა შვიდ მილ. თავის მონათესავეს აცხოვრებ-  
და; ამავე დროს შვიდი მილ. სოფლის მუშისა  
მხოლოდ სამ მილ. ნათესავს აცხოვრებდა. წინად  
მუშას, სანამ ცოლის შერთვა არ შეეძლო, სანამ  
იგი ოსტატად არ ეკურთხებოდა და თავის საკუთარ

სახელოსნოს არ გააღებდა. დღევანდელ მუშას კი შეუძლიან მუშადაც დარჩეს და ოჯახობასაც მოეკიდოს, რადგანაც იგი თავის თავს სრულ მოქალაქედ სთვლის. მუშათა კლასსი, როგორც რიცხვით, ისე თავისი სოციალური მნიშვნელობით, ძლიერდება. ყველა იმ ადგილს, სადაც დღეს ეკონომიური ცხოვრებაა თავ მოყრილი, სადაც თავს რკინის გზები იყრიან, სადაც მრეწველობა უკიდურესობას აღწევს, იქ სულ მეტს და მეტს ძალას მუშახალხი იხვეჭს. თუმცა ჯერ ეკონომიურად კიდევ კაპიტალისტები ბატონობენ, მაგრამ მუშებსაც არასძინავთ. კაპიტალისტების საწინააღმდეგოთ სხვა და სხვა მუშების კავშირები სდგება, პროფესიონალური კავშირები და სხვა. ასევე სცდილობენ წრვილმანი ხელოსნებიც, მაგრამ ესენი სულ სხვა აზრით. ესენი იმის მაგივრად, რომ ეკონომიურ განვითარებას ხელი შეუწყონ, მის დაქვეთებას სცდილობენ. ამათ ამგვარი მოქმედებით ძალიან ცოტა შეიძინეს. არც თვით კაპიტალისტური დაწესებულებები რჩებიან უკან. ეს უკანასკნელებიც აღგნენ კავშირს. ამათ კავშირებს ეწოდებათ: კაპიტელები, სინდიკატები\*) და ტრესტები. ხსენებულ კავშირების მიზნები

\*) ეს სინდიკატები არ უნდა აურიოთ იმ სინდიკატებთან, რომლებიც საფრანგეთში დაარსდნენ და რომლის მიზანიც არის, მშრომელ ხალხის მჭიდრო დაკავშირება და სარეეოლიუციო პრძოლა როგორც ყოველ-დღიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ისე სოციალიზმის დამყარებისათვის.

შემდეგია: 1) მუშების წინააღმდეგობის გაწევა; 2) კაპიტალისტებს შორის კონკურენციის შესუსტება, და 3) ისეთი ფასების დაწესება საქონელზედ, რომელიც უფრო მათთვის არის სასარგებლო. ეს კაპიტალისტური კავშირები სწორედ იმ ძველი დროის ამქრობას გვაგონებს, როდესაც უკანასკნელმა მონოპოლია ხელთ იგდო, რის საშუალებითაც საზოგადოებას ავნებდა, მომუშავეთ ტყავს აძრობდა და სცდილობდა ხალხისთვის კონტრიბუცია შეეწერა. შესანიშნავი ზრდა და ცვლილება მუშათა კლასსისა, გასაკვირველი მოძრაობა კაპიტალისა, უკანასკნელის შემოსავლისა, და შრომის განცალკევება, ქალაქების ზრდა, რკინიგზების ასეთი გავრცელება — ყველა ეს ხსენებული მოვლენები იმის მაჩვენებელია-რომ კაპიტალისტური ფორმა უკანასკნელი ეკონო, მიური ფორმა არ არის, რომ კაპიტალისტურ მეურნეობას გარდაქმნა ეტყობა და იგი უეჭველად ადგილს სხვა გვარ მეურნეობას დაუთმობს.

## IX.

### ახალი მკონიშვნი ფუბილების დასა- წინა.

რა ნაირი იქნება მომავალი მეურნეობა? რა-  
გვარი ფორმებისა? რა უწოდოთ მას? მთელი ჩვე-  
ნი საზოგადოება, ჩვენი ვრცელი სახელმწიფოები,  
შესდგება სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზმებიდ-

დან, რომელთაც არავითარი მჭიდრო კავშირი არ აქვთ ერთმანეთს შორის. თვითეული მათგანი შეადგინს ორგანიზმს, რომლის ნაწილებიც დაშორებულები კი არ არიან ერთი ერთმაპეთისაგან, არამედ უთვალავი ძარღვებით არიან ერთი ერთმანეთთან მჭიდროდ შეკავშირებულნი. ამ ორგანიზმებში ჩვენ მთელ ეკონომიურ კავშირებს ვპოვებთ, როგორც, კარტელები და სინდიკატები, რომლებშიაც მთელი ჯარია მუშებისა შრომობენ და რომლებსაც გავლენა აქვთ თვით ორგანიზმების ცხოვრებაზედ. მაგრამ ვის სასარგებლოდ ხორციელდება ეს გავლენა? იმათ სასარგებლოდ კი არა, ვინც წარმოების ბურჯს შეადგენენ ან კიდევ საჭმის გამგის სასარგებლოდ, რომელსაც მართვა-გამგეობაში ასე თუ ის შესამჩნევი ჯამაგირი ეძლევა; მომეტებულად მოგება კრედიტულ ფურცლების ან აქციის პატ-რონებს ხვდება წილად. მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ადამიანი ყოველთვის მოითმენს ამ უსამართლობას? განა შეიძლება ამ გვარი წყობილება ადამიანის შესაფერ ცხოვრებად ჩაითვალოს? ის წყობილება, როდესაც იმ ხალხთა რიცხვი სულ მატულობს, რომელმაც, თავის კლასიურ მდგრადეობის გავლენით, განცხრომაშია და მხოლოდ იმის ფიქრში, თუ როგორ უფრო უკეთ გააძროს მომუშავეს ტყავი? მოიგონეთ ძველი რომი, სადაც იყო ამ-გვარივე კლასი, რომელიც, თუმცა ხელს არ ანძრევდა, მაგრამ ფუფუნებაში კი იყო; რის შედეგიც მის დაძაბუნება იყო. ასეთმა კლასსმა ადრე თუ

გვიან თავისი უფლებეები უნდა დაჰკარგოს.  
ეს რომ ასე უნდა მოხდეს, ამის დამტკიცება  
აღვილია. ჩვენ ვხედავთ, რომ კაპიტალისტური და-  
წყებულებეები სინდიკატებად და კარტელად ერთ-  
დებიან, ეს ორთავენი კი—ტრესტად განსაზღრულ  
დარგის მრეწველობის მთელი წარმოება მსხვილ კა-  
პიტალისტურ კავშირების ხელში იყრის თავს. იქ,  
სადაც ეს უკვე მოხდა, საკმარისია ერთი ნაბიჯი,  
რომ კაპიტალისტურ კავშირს ჩამოართვა ქონება  
და ამგვარად მთელს საზოგადოებას მის საკუთარ  
სარგებლობისთვის გადასცე, ვიდრე იმით ერთი  
ჯგუფი აქციონერებისა სარგებლობდეს. ამგვარ სა-  
ზოგადოების სასარგებლოდ წარმოებას ჩვენ საზო-  
გადო წარმოებას ვუწოდებთ. მაშასადამე, ერთის  
მხრივ, ეკონომიური ფორმა თვით მიისწრაფის გა-  
საზოგადოებისკენ, მეორის მხრივ—ქალაქების ზრდას-  
თან ერთად მათი მიზანიც იზრდება. წინედ, რო-  
დესაც ქალაქები თითქმის მარტო გლეხების ოჯა-  
ხებისგან შესდგებოდა და კიდევ რამდენიმე ქუჩი-  
საგან, სადაც ხელოსნები სცხოვრებდნენ,—ქალა-  
ქის მართვა უბრალო საჭმე იყო. სისუფთავეს საი-  
მისო ყურადღებას არ აქციევდნენ, მიწას თითქმის  
არაფერი ფასი არ ედვა, ქალაქს, შეიძლება ითქვას,  
რომ არაფერი მნიშვნელოვანი აღმინასტრატიული  
მიზანი არა ჰქონდა. ყველა ეს ეხლა ძირიანად შე-  
იცვალა. აღმინასტრატიულის დანიშნულება სხვანაირ-  
დება. ქალაქები იზრდება, ამიტომ მიწებიც ძვირ-  
დება; იწყება მიწით ჩარჩობა; ყველა მიწის ხელში

ჩაგდებას ცდილობს, როგორც უფრო შემოსავლიან ადგილისას. რას ნიშნავს მიწის ღირებულება? ეს არის მხოლოდ კაპიტალად ნაქცევი საიჯარადო ფასი ან პოშლინა, რომელსაც ქალაქის მემამულეები აქ მცხოვრებლებს ართმევენ. იგი ისევე ფეოდალური უფლებეებია, რომლებიც საშუალო საუკუნოში იყო გამეფებული. ძველად ხალხი ფეოდალებს უხდიდა გადასახადებს, ეხლა კი—მიწების მფლობელებს. რაც დრო გადის, იმდენად მომეტებულად მხედრდება საზოგადოებრივი თვით შეგნება ამგვარი მოვლენის წინააღმდეგ. ამ საქმის გადაწყვეტას მარტო ეპთნომიური ძალების მსვლელობას ვერ შეიანდობთ, რადგანაც, როგორც დაკვირვება გვაჩვენებს სახლის ქირა მატულობს, ცხოვრება ძნელდება და ყველა ამას მიწის დაძვირებაც ემატება. ბოლოს მაინც ქალაქის მოხელეებმა უნდა დასდონ საზღვარი ამგვარ მოქმედებას, ამ შემთხვევაში უველავ ზედ რადიკალურ ზომად მხოლედ მიწის გასაზოგადოებრივება შეიძლება ჩაითვალოს.

მაგრამ ესეც არ არის საყოფი. ქალაქი აუცილებლად აღებ-მიცემის და საცხოვრებელი ადგილის შესახებ უნდა სოციალურ პოლიტიკის გზას დაადგეს; უნდა თვით იქისროს შენაბების აგება და მის გა ქირებაც; ქირა მხოლედ აშენებისა და მისი შენახვის ჩარჯვს უნდა უდრიდეს. ეს აუცილებელი ჭავიროებაა იმიტომ, რომ კულტურული ცხოვრების მოთხოვ-

ნილება, გიგიენური ადგილ-საცხოვრებლის მოთხოვნილება სულ მატულობს, საქმით კი დაუკმაყოფილებელი რჩება. ამის გამო საჭიროა ქალაქის საზოგადო პოლიტიკის ძირითადი ცვლილება; მაგრამ ამ ცვლილების სერიოზულად და ნაყოფიერად ცხოვრებაში გატარება შეიძლება იმისთანა საზოგადოებაში კი არა, სადაც, როგორც პრუსსიაში მომეტებული ხმა, კანონის ძალით, ეკუთვნის მემამულეებს, არამედ იმისთანა საზოგადოებაში, სადაც დემოკრატიულ უფლებების ძალით მომეტებული და გადაწყვეტი ხმა მართვა-გამგეობაში ეკუთვნის ქალაქის მცხოვრებთა მომეტებულ წილს. მხოლოდ იქ, სადაც ხსენებული დემოკრატიული წყობილებაა, მოიპოვება შესაფერი ენერგიაც ქალაქის პოლიტიკის საწარმოებლად, რომელსაც დღვვანდელ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ძალ-უძა.

რაც შეტი საქმე გადადის საზოგადოების ხელში, იმდენად მეტად აკმაყოფილებს მომუშავეთ; ამიტომ საჭირო ხდება მუშებისათვის კომმუნალური პოლიტიკა, რაც ქალაქის სრული დემოკრატიულად მოწყობის და ორგანიზაციის შექმნის მომასწავებელია; ეს უბანასკნელი ცვლილებები მოედი ქალაქის ყაფზომიურ ერთეულად გადაქცევაში გამოიხატება, მაგრამ ეს ხომ ისაა, რასაც ჩვენ კომმუნალურ სფრიალიზმს ვუწოდებთ. ამგვარად საზოგადოებრივ დამთკიდებულების და შემათა კლასის გავლენით იძალება ნორჩი დერთული ახალი საზოგადოებრივ წევზილებისა.

მაგრამ სახელმწიფოსაც წინანდელთან შედარებით დღეს სულ სხვა დანიშნულება აქვს. ერთის მხრივ კონტროლს აძრიელებს და აღებ-მიცემობას ხელმძღვანელობას, მეორე მხრივ თვით ეწევა წარმოებას. შემთხვევები, როდესაც კერძო საკუთრება და კერძო უფლება საზოგადო ეკონომიკურ საქმეს აფერხებენ, უფრო და უფრო მატულობენ. ამიტომ სახელმწიფო, როგორც საზოგადოების ინტერესების დამცველი, ერევა საქმეში ყველა ტორმაზს ხელს სჭიდებს და ასაზოგადოებს. ერთი სიტყვით, აქაც ჩვენ ახალ საზოგადოებრივი წყობილების დასაწყისს ვხედავთ, რომლის განვითარების შედეგიც არის ახალი ეკონომიკური ფორმა; სახელდობრ, ისეთი ფორმა, საღაც წარმოებას განაგებენ არა წერილი ადგილობრივი თემები, არა ნაციონალური და ინტერნაციონალური კას შიტალისტების პავშირები, არამედ სახელმწიფო და თემები, რომლებიც ორგანიულად არაან ერთი ერთმანეთ შრომის შექავშირებული. ეს ფორმა შრომის განაწილებაზედ არის დაფუძნებული, ან თვით სახელმწიფო და თემები ან კიდევ სხვა და სხვა დაწესებულებების საშუალებით საზოგადოებრივ მეურნეობის საქმეს უფრო და უფრო საზოგადოების ინტერესებს უქვემდებარებენ.

როდესაც ამქრობა მოისპო და ძველი შინაური მეურნეობა დაინგრა, იმედი მიეცათ, რომ ამ კარჩაკეტილ ეკონომიკურ ფორმების განხრწნას შედეგათ საქონლის გაიაფება და მისი გაუკეთესო-

ბა მოჰყვებოდა. მაგრამ თავისუფალმა კონკორდა-  
ციამ მხოლოდ ნახევრად განახორციელა ხსენებუ-  
ლი იმედები. შუამავალ-ვაჭრების რიცხვმა მომხმა-  
რებელთა და მწარმოებელთა შორის შესამჩნევად  
იმატა. ეს შუამავალთა რიცხვი დღითი დღე იზრ-  
დებოდა. რის შედეგიც საქონლის დაძვირება იყო.  
მაგრამ ამასთანავე ვითარდება საზოგადოებრივი გრძნო-  
ბა, რომელიც ისეთ ახალ ფორმების ძებნას იწ-  
ყებს, რომელთა საშუალებითაც უფრო თავის დრო-  
ზედ და იაფად შეიძლებოდა საქონლის მიწოდება.  
ინიციატორად მუშათა-კლასის გამოდის, რომლების-  
თვისაც ყველაზედ საგრძნობელია ეს სიძვირე.

რომ როგორმე განთავისუფლდეს მუშათა კლას-  
ი მოვაჭრე-შუამავლებისაგან, იგი მოსახმარებლითი  
(потребительский) საზოგადოებებს აარსებს, რომ-  
ლებიც ჩვენში ჯერ სულ ნაკლებად არის გავრცე-  
ლებული, თუმცა, როგორც ინგლისის მაგალითი  
გვიჩვენებს, მათ იმდენათ შეუძლიანო განვითარდენ,  
რომ ზოგი ერთ მოსახმარისი საგნების მთელი წარ-  
მოება თვითონ იკისრონ. თუ თემები როდისმე  
მოინდომებენ ამგვარ და ამ მიზნით დაწესებულებე-  
ების დაარსებას, მაშინ მათთვის საკმარისია მხოლოდ  
მუშათა კავშირის მოსახმარისი საზოგადოებები  
რომლებიც უფრო ღონივრები არიან, ხელში ჩა-  
იგდონ და შემდეგ განავითარონ, ამ გვარ მიმართუ-  
ლებას თვით მუშათა მოსახმარის კავშირებში ვხე-  
დავთ. აქ ჩვენ ახალ ეკონომიკურ წყობილების და-

საწყისი ვამჩნევო. ამგვარად დღეგანდედი ცხოვრების განვითარება, კურთის მხრივ, მთხოვნილებების და მთხოვნილების იწვევს, მეორე მხრივ,— ახალ ეკანომიურ წევბილების ფორმებს და ორგანიზაციებს, რომლებიც უფერებლთვის საზოგადო ინტერესებს განსაკუთრებულ შირების და ჯგუფების ინტერესებთან შედარებით მაღლა აეგნებენ. ამიტომ ამ წევბილებას ეწოდება საზოგადო. თუ რანაირი იქნებიან მათი საბოლოვო ფორმები, ჩვენ არ ვიცით და არც საჭიროა ეხლა ჩვენთვის. ისიც სამყოფია, რომ ჩვენ უკვე ვხედავთ მათ დასაწყისს, ვხედავთ აგრეთვე იმას, თუ მეურნეობა როგორ უახლოვდება ამ წევბილებას და ბოლოს იმასაც, რა ინტერესითაც ეყიდება მათ ხალხი.

ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ ვითარდებოდა კაცობრიობის მეურნეობა თავის პირველყოფილ, უბრალო ფორმებიდან და ისიც, თუ ეს განვითარება ხანდისხან როგორ შესწყდებოდა ხოლმე. ჩვენ მოწმები ვართ ძველი კულტურის დაღუპივისა, რომლებმაც შემდეგში განვითარება ვეღარ შესძლო. ამის მიზეზი ის იყო, რომ გამეფებული კლასსები სულიერად და ფიზიკურადაც გარევნილები იყვნენ, დაბალი კლასსები კი მონობისაგან სული ჰქონდათ ამორთმული. ეხლა ჩვენს წინაშე ახალი ეკონომიური ფორმაა. მონობა მოსპობილია. მეურნეობა აუ-

არებელ, სულიერად გაურყვნელ მუშათა კლასსზეა  
დაფუძნებული. მუშები თავიანთ თვით შეგნებას  
ანვითარებენ, ესენი დამოკიდებულები არიან, რო-  
გორც მაწარმოებელნი, მაგრამ დამოუკიდებელნი,  
როგორც მოქალაქენი. მუშები იძულებულნი არიან  
თავი კლასსიურ მდგომარეობის გამო მოითხოვონ  
მეტი უფლებები და ისინი უეჭველია კიდეც მოი-  
პოვებენ, რადგანაც იგინი უსამართლოდ არიან უფ-  
ლებეებს მოკლებულნი. ამის დასამტკიცებელია ის,  
რომ მუშათა რიცხვი სულ იზღება, რომ მათი სო-  
ციალური მნიშვნელობა მატულობს, და რაც უფრო  
უმთავრესია, ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში  
მძლავრ ძალას წარმოადგენენ, განსაკუთრებით კი  
უმთავრეს მსხვილ სავაჭრო ადგილებში. ყველა ეს  
ფაქტები იმას მოწმობენ, რომ კაცობრიობა არამც  
თუ დღევანდელ განვითარების საფეხურზედ არ შესდ-  
გება, არამედ იგი არც უკან დაიხევს და კულტუ-  
რის ახალ და უმაღლეს ფორმისკენ გასწევს.

ამასში ჩვენ გვარწმუნებს აგრეთვე დღევანდე-  
ლი მუშის გონებრივი განვითარება და ის ფაქტი,  
რომ მუშათა კლასსი ყოველ შემთხვევაში წინ მი-  
დის; ამასთანავე მუშა მხოლოდ რიცხვით კი არ  
იზრდება, მარტო ეკონომიურ მნიშვნელობას კი არ  
ჰქოვებს, სამაგიეროდ იზრდება აგრეთვი მისი სუ-  
ლიერი გავლენა—მუშა თავის გონებრივად განვი-

თარებასა სცდილობს. ამავე სურვილმა გვაიძულა  
მოგვეწყო ჩვენი ლექციები და თუ ესენი რაიმე გავ-  
ლენას იქონიებენ ბევრ სხვა გავლენებთან ერთად  
მუშის გონებრივ განვითარებაზედ, მაშინ მიზანი  
მიღწეული იქნება.

---

გამომცემელთაგან . . . . .	3
I სამეურნეო ცხოვრების განვითარება .	5
II პირველ ყოფილ ხალხების მეურნეობა.	
პირველ ყოფილი კომუნიზმი . . . . .	15
III მოწროიალე ტომების მეურნეობა.—ში-	
ნაური და სასოფლო ოემები . . . . .	23
IV ქალაქის აღმოცენება და აღებ-მიცემო-	
ბითი მეურნეობა . . . . .	30
V ძველ კულტურულ ხალხების მეურნეო-	
ბა . . . . .	33
VI ფეოდალური დროის მეურნეობა . . .	39
VII კაპიტალისტური მეურნეობის პირველი	
ფორმები . . . . .	48
VIII განვითარებული კაპიტალისტური მეურ-	
ნეობა . . . . .	55
IX ახალი ეკონომიური წყობილების დასა-	
წყისი . . . . .	62



### „გუთის“ გამოცემანი:

1) როგორ უნდა მოხდეს ხალხის წარმომადგენლების არჩევა . . . . .	2 კ.
2) შიშვილი, ბაზისა, თარგმანი თ. სახოკიასი . . . . .	20 კ.
3) მიწით სარგებლობის უფლება. პ. ხელნერისა . . . . .	5 კ.
4) გლეხთა საკითხი საფრანგეთში, ს. ა—სკისა . . . . .	7 კ.
5) ფ. ლასალი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა . . . . .	6 კ.
6) კოავერატიული მოძრაობა ბელგრაში, პ. დეირისა . . . . .	3 კ.
7) ეროვნული საკითხი, შალვა ნათაძისა . . . . .	3 კ.
8) ახალი ქადაგება . . . . .	3 კ.
9) საფრანგეთის დიდი რევოლუცია . . . . .	15 კ.
10) მიწა მიწის მუშა! . . . . .	5 კ.
11) გზა სოციალიზმისკენ . . . . .	5 კ.
12) სამეურნეო ცხოვრების განვითარება . . . . .	20 კ.

### გვენი გამოცემანი იჯილება:

თბილის ში—საზოგ. «კახეთი», გიორგი ჭონიაშვილთან.

გორგი—ვანო ჩახანიძესთან, სობოროს ქუჩა.

რონ ში—მოსიქ ჭელიძესთან.

ბათუმში—პ. გ. გამყრელიძესთან, ქალაქის გამგეობა.

ქუთაის ში—დავ. ს. ლულაძესთან, მესხეთის ქუჩა.

ფრთ ში—მიხ. ივ. ჩხერიძეთან.

თელავში—ვასო როინაშვილთან.

ახალქალაქში (გორის მაზრა)—ვიქტორ მდივანთან.

ბალაჯარაში—აანასე მიქეაძესთან, სადგურის ბუდებაში.

ოზურგეთში—ელენე ანთაძესთან.

გიათურაში—მ. მ. სიხარულიძესთან.

ყვირილაში—გაჩეჩილაძის წიგნის მაღაზიაში.

ბაჭოში—გ. კვალიაშვილთან.

სამტრედიაში—გალაძის წიგნის მაღაზიაში.

ცინკალში—ნიკო კასრაძესთან.

აგრეთვე ყველა წიგნის მაღაზიებში.

ამხანაგობა სთხოვს ხელ-ნაწერების ავტორებს შეგვატუბინონ ბოლო თავიანთი პირობებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწარმოები ჩათვლება უპონორარო.

ფოსტის ადრესი: თბილისი, საზოგ. «კახეთი», კვალიშვილს.